დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნინო კაშია
წევრები

ლევან ღურწკაია - ხარისხის ექსპერტი

ნინო ბურჯალიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტი

ბესიკი ბერიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტი

თამთა პეტრიაშვილი - უცხოური ენების ექსპერტი

ეკატერინე ხუცოშვილი- ესთეტიკური აღზრდის ექსპერტი

ელიზა ბაგალიშვილი - ტექნოლოგიების ექსპერტი

ირინე ჯანაშია - სახელმწიფო ენის ექსპერტი

სერგო დურგლიშვილი - მათემატიკის ექსპერტი

მარინა ანესაშვილი - სპორტის ექსპერტი

ნატო ხაჭაპურიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სსიპ

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	242007555

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	დაბა ჩოხატაური
იურიდიული მისამართი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელი ჩაისუბანი
ფაქტობრივი მისამართი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელი ჩაისუბანი
საფოსტო ინდექსი	4900
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	chochaisubani@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577972315

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 6 23 0001066535 1.09.2023 წელი
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	21/22 სექტემბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩაისუბანი

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩაისუბანი
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩაისუბანი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის საჯარო სკოლის შეფასების პროცესმა ჩაიარა საქმიან, კონსტრუქციულ და მშვიდ ვითარებაში. დაწესებულებაში ვიზიტამდე"თიმსის"სივრცეში ჯგუფისთვის შეიქმნა ვირტუალური კლასი, სადაც ექსპერტებისთვის გაზიარებული იქნა, როგორც სკოლის თვითშეფასების განაცხადი, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს სკოლამ შექმნა ყველა პირობა პროცესის სათანადოდ წარმართვისთვის, გამოავლინა თანამშრომლობის მაღალი კულტურა. გამოყო სივრცე შეხვედრებისთვის, განრიგის შესაბამისად, ორგანიზებულად შეგვახვედრა თანამშრომლებთან.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში. დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა, როგორც ადმინისტრაციულ პერსონალს, ასევე სკოლის მასწავლებლებს. საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამის მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. ონლაინ შეხვედრა დაიგეგმა ორივე სამუშაო დღეს. პირველ დღეს გაიმართა მცირე გაცნობითი შეხვედრა ყველა საგნობრივ ჯგუფთან, განხილული იქნა კურიკულუმის შემუშავებისა და სხვა ზოგადი საკითხები, მეორე სამუშაო დღეს კი ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ მიეღოთ დეტალური პასუხებიცალკეულ ინდიკატორებთან მიმართებაში.საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა,

ვიზიტის პერიოდში ადგილზეპედაგოგებთან უშუალო შეხვედრის დროს განიხილა კურიკულუმები, დაათვალიერა სასწავლო გარემო, ლაბორატორიები და გაესაუბრასაგნობრივი კათედრის წარმომადგენლებს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: ----350----------	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

- **დაწყებითი საფეხურის** ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- **საბაზო საფეხურის** ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- **საშუალო საფეხურის** ზოგადსაგანმანათლებლო პროგრა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლამ უზრუნველყოს სახანძრო საფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება.
ინდიკატორი N 3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და	სკოლამ უზრუნველყოს შენობის ექპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში.

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

	დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	
ინდიკატორი N3.5.1.3	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლ ინკლუზიურ გარემოს;	სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველ ლაბორატორიის აღჭურვა შესაბამისი რესურსებით.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობ* *რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*

ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლ ტერიტორიაზე ფიზიკურ უსაფრთხოების დაცვას, მათ შორ საგანგებო სიტუაციებში რეაგირებ და პირველადი დახმარებ აღმოჩენას;	*სკოლას მიეცა რჩევა აიყვანოს შრომ უსაფრთხოების სპეციალისტი;*
ინდიკატორი N3.5.1.3.		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*რჩევა*

ინდიკატორი N....		.....

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

- *სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია 1.2.1.1. ინდიკატორთან* „სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს“ დაკავშირებით- შექმნა მეთოდოლოგიის დოკუმენტი, წარმოადგინა მტკიცებულება.
- *სკოლამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია 1.2.1.2. ინდიკატორთან* - „სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს“ -დაკავშირებით. წარმოადგინა სტრატეგიული გეგმის დამტკიცების ბრძანება. წარმოადგინა სტრატეგიული გეგმა.
- *სკოლამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია 1.2.1.3. / 1.2.1. 3 ინდიკატორებთან* - „სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას“; „სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები,

პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია“ დაკავშირებით. სკოლამ წარმოადგინა ს/საბჭოსა და პედ/ საბჭოს ოქმები, ასევე ბრძანებები. წარმოადგინა სამოქმედო გეგმა.

- *სკოლამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია 3.4.1.1.ინდიკატორთან* - „სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას“ - დაკავშირებით. წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული (07.11.2023). სახანძრო უსაფრთხოების დასკვნასთან დაკავშირებით მითითებული თარიღი 9.11.23 წელი ალბათ ტექნიკური ხარვეზია, რადგან სკოლას შესრულების მტკიცებულება არ წარმოუდგენია.
- *სკოლამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია3.51.1.ინდიკატორთან* - „სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით“- დაკავშირებით, მაგრამ ვერ მოახერხა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან დასკვნის მიღება. სკოლამ შესაბამისობის გეგმაში გაწერა, რომ დასკვნას წარმოადგენს საბჭოს სხდომაზე.
- *სკოლამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია 3.51.2. /3.5.1.3. / 3.5.1.4. ინდიკატორებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეების ხელმისაწვდომობას; სწავლის იკლუზიურ გარემოს; სკოლის ინფრასტრუქტურის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.შესაბამისობის გეგმაში აღწერა, რომ რესურს-ოთახი,ბიბლიოთეკა,ლაბორატორიები განათავსა პირველ სართულზე. მტკიცებულებად მიგვითითა ფოტო- მასალა.*
- *სკოლამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია 3.6.1.2. ინდიკატორთან* - „ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად“ - დაკავშირებით. სკოლამ შეიმუშავა „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“ გამოსცა შესაბამისი ბრძანება.
- *სკოლამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია 3.6.3..1. / 3.6.3.2. /3.6.3.3 . / 3.6.3.4. / 3.6.3.5. ინდიკატორებთან დაკავშირებით, რომელბის ეხება სკოლაში ვებ.გვერდის არსებობას, გამოყენებას, გააქტიურებას. სკოლამ შესაბამისობის გეგმაში მიუთიტა რომ ვებ. გვერდი გააქტიურებულია. სკოლას განტავსებული აქვს ინფორმაცია და დოკუმენტები გამათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შემოთავაზებულ პორტალზე.*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 . სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს; სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ჩაისუბნის საჯარო სკოლის მისიაში გამოკვეთილია სკოლის პასუხისმგებლობა მოსწავლეების ღირებულებების მქონე თავისუფალ პიროვნებებად ჩამოყალიბების მიმართულებით გონებრივი და ფიზიკური უნარ–ჩვევები განვითარების საშუალებით. სკოლა ყურადღებას ამახვილებს სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაზე,უფლება-- მოვალეობის გათავისებაზე ქვეყნის წინაშე.შესაძლებელია ითქვას, რომ მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
სკოლა წარმოადგენს პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, ჰყავს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, საგნობრივი კათედრები, რომლებიც ზრუნავენ მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე. სკოლა ხელმძღვანელობს შინაგანაწესით, აღჭურვილია კამერებით, აქვს მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი, სადამრიგებლო პროგრამები, სკოლა ჩართულია სხვადასხვა სახის პროექტში, რომლებიც ორიენტირებულია პიროვნული და სოციო-კულტურული სივრცის განვითარებაზე;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

მისია ხედვა, ღირებულებები შეიმუშავესსასკოლო საზოგადოების ჩართულობით. აღნიშნულის შესახებ ისაბრეს დირექტორმა და ხარისხის ჯგუფის წარმომადგენელმა.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; მისია, ხედვა, ღირებულებები გაზიარდა კათედრის სხდომებსა და მშობელთა კრებებზე;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები გამოკრულია სკოლის დერეფანში. დაინტერესებულ მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია გაეცნოს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6.სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კათედრის სხდომის ოქმები;*
- *მშობელთა კრების ამსახველი დოკუმენტები;*
- *ზეპირი ინტერვიუ;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ შექმნა სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების ამსახველი ფორმები.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2 სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტების მოსაზრება სტრატეგიულ გეგმასთან დაკავშირებით. შეიმუშავა და ბრძანებით დაამტკიცა 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა, გამოკვეთა მისია, ხედვა ღირებულებები. მისიაში აქცენტი გაკეტებულია პროფესიული სამეწარმეო უნარ-ჩვევების საბაზისო კომპეტენციების დაუფლებაზე, დამოუკიდებლობასა და კანონმორჩილებაზე.ტოლერანტობასა და კრიტიკულ აზროვნებაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტების მოსაზრება ერთწლიან სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით. შეიმუშავა და ბრძანებით დაამტკიცა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტების მოსაზრება ერთწლიან სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4 სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმა აგებულია ივდიკატირების, ვადების,რესირსების და პასუხისმგებელი ერტეული პირების გათვალისწინებით.არ წარმოუდგენია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სამეურვეო საბჭოს ოქმი

პედაგოგიური საბჭოს ოქმი

შეხვედრის ფორმები

7 წლიანი სტრატეგიული გეგმა

ერთწლიანი სამოქმედო გემა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 . სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

სკოლამ შეიმუშავა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია , რომელშიც ცალკე თავად არის გამოყოფილი მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია, სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმის გათვალისწინებით;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

სკოლა აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით აცხადებს, რომ ყოველი წლის ბოლოს ახორციელებს თვითშეფასებას და ამის შემდეგ გეგმავს ახალ სამოქმედო გეგმას. სკოლის საზოგადოებასთან გასაუბრებამ დაადასტურა აღნიშნული, რომ სასწავლო წლის ბოლოს განიხილავენ შედეგებს: წარმატებებსა და გამოწვევებს, რომელსაც ითვალისწინებენ მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში. ძირითადად, აქცენტი კეთდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე. საერთო ჯამში, სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრება და ახალი სამოქმედო გეგმის პროექტი ცხადყოფს, რომ წლიური სამოქმედო გეგმა პასუხობს სკოლის გამოწვევებს, როგორც აღვნიშნეთ სკოლას უკვე აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა შემუშავებული, რომლის განხორციელების საჯაროობაზე სკოლა იზრუნებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. სკოლამ შექმნა სტრატეგიული განვითარების გეგმა. წარმოადგინა შეხვედრების ამსახველი დოკუმენტაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სამეურვეო საბჭოს ოქმი

შეხვედრის ამსახველი ფორმები მშობლებთან

შეხვედრის ამსახველი ფორმები მოსწავლეებთან

სტრატეგიული განვითარების გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

სკოლის სტრუქტურული ერთეულები სკოლას აქვს გრაფიკული გამოსახულების სახით, რომელიც მიხედვითაც მოიცავს შემდეგ ერთეულებს: სამეურვეო საბჭოს, დირექციას, ადმინისტრაციას, პედაგოგიურ საბჭოს, დისციპლინურ კომიტეტს, საგნობრივი ჯგუფის კათედრებს და მოსწავლეთა თვითმმართველობას.სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები გაწერილი აქვთ სკოლის წესდებაში.სკოლის წესდებაში ასევე აღწერილია სკლაში დასაქმებულ პირთა ფუნქციების ა (თანამდებობრივი ინსტრუქციები), რომელიც მოიცავს ისეთმნიშვნელოვან დეტალებს, როგორიცაა: სამუშაოს იდენტიფიცირება და მოკლე აღწერა, ფუნქციები და პასუხისმგებლობები, უფლებამოსილებები, სამუშაო პირობები. აღსანიშნავია, რომ თანამშრომლების ფუნქციები დამატებით გაწერილია ცალკეულ დოკუმენტებშიც,მაგალითად, ხელშეკრულებებში;

სკოლაში ფუნქციონირებს:სკოლის სამეურვეო საბჭო, რომელიც შედგება 3 პედაგოგისგან, 3 მშობლისა და თვითმმართველობის თავმჯდომარისაგან.

პედაგოგიური საბჭო, რომელიც მოიცავს საგნობრივ კათედრებს:

სკოლის დირექცია შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილის და ბუღალტრისგან.

დისციპლინური კომიტეტი: რომელიც შედგება ორი მასწავლებლის, ორი მოსწავლის და ორი მშობლისაგან.

მრჩეველთა საბჭო, რომელშიც შედის დირექტორი, პედაგოგიური საბჭოს

თავმჯდომარე და სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, ასევე რესურსცენტრის წარმომადგენელი.

სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, სადაც გაწერილია თვითმმართველობის ფუნქცია-მოვალეობები, მისი არჩევის წესი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2 . .სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სკოლის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ერთეულებს: სამეურვეო საბჭოს, დირექციას, ადმინისტრაციას, პედაგოგიურ საბჭოს, დისციპლინურ კომიტეტს, საგნობრივი ჯგუფის კათედრებს და მოსწავლეთა თვითმმართველობას. ერთეული პირების ფუნქციები არ არის ცალკე დოკუმენტად გაწერილი, მათი ფუნქციები ჩაშლილია ხელშეკრულებებში.სკოლის წესდებაში,შინაგანაწესში. დოკუმენტებში ჩანს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების და პასუხისგებლობის გადანაწილება. სასკოლო საზოგადოებას წარმოადგენს სკოლის ყველა თანამშრომელი, რომელთა მოვალეობანი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით და შინაგანაწესით. სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებული პრაქტიკა ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას. სტრუქტურული ერთეულის/პირების ფუნქციები რეგულირდება სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტებით, ანგარიშვალდებულების სასკოლო სისტემა. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს სკოლის საგანმანათლებლო, ფინანსური და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.დასტურდება (მტკიცებულებები):

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის წესდება

ზეპირი ინტერვიუ

ხელშეკრულებები

შინაგანაწესი

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. სკოლას შექმნილი აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკის მტკიცებულებად პროცესები იმართება კანონმდებლობიდან გამომდინარე. მტკიცებულებაად სკოლას გააჩნია შრომითი ხელშეკრულებები, შრომით ხელშეკრულებაში მკაფიოდაა გაწერილი დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის ვალდებულებები. ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია სკოლის შინაგანაწესი. პროცესების მართვა ხორციელდება შინაგანაწესის მიხედვით.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. სკოლის მიერ შექმნილი მართვის პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს პერსონალის მოზიდვის , შერჩევის , დანიშვნის , თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან და მის ჩართვას სამუშაო პროცესში. პერსონალის შეფასებას, მონიტორინგს, პერსონალის პროფესიული განვითარებას პერსონალის წახალისებას , პერსონალის დისციპლინარული პასუხისმგებლობას, კომუნიკაციას თანამშრომლებს შორის.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;სკოლაში დასაქმებულთა შერჩევა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის, ასევე, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ და სკოლის მიერ თითოეული ვაკანსიის გამოცხადებამდე კონკურსის ჩატარების წესის შესაბამისად.სკოლას კანონმებლობის დაცვით ჰქონდა გამოცხადებული ვაკანსია ექიმის პოზიციაზე საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. დასაქმებულთა პირად საქმეებში განთავსებულია სკოლისაგან მოთხოვილი დოკუმენტები და კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები: ცნობა ნასამართლეობის შესახებ;ცნობა სექსუალური შევიწროებისა და ცნობა შრომის უფლების შესახებ;
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას; სკოლაში დასაქმებულთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანანმდებობას. აღნიშნული დასტურდება პირადი საქმეების ნახვით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლაში პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს; სკოლის მართვა არის მონაწილეობითი, რაც გულისხმობს პერსონალის მაღალ ჩართულობასა და თანამშრომლობას დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მონაწილეობითი მართვისას მნიშვნელოვანია უფლებამოსილების დელეგირება. სასკოლო საზოგადოებას შორის მნიშვნელოვანია კომუნიკაცია და თანამშრომლობა, რაც უფრო ეფექტურს ხდის მათ საქმიანობას, ამასთანავე პერსონალთა შორის მნიშვნელოვანია მოსმენის და ურთიერთპატივისცემის დამოკიდებულებების ჩამოყალიბება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. სკოლის პედაგოგები ინტენსიურად იღებენ მონაწილეობას რაიონულ, რეგიონულ და რესპუბლიკურ კონფერენციებში. კათედრის წევრები უზიარებენ გამოცდილებას ერთმანეთს, მსჯელობენ საგნის სწავლების აქტუალურ საკითხებზე. პოზიტიური კომუნიკაცია,გუნდურობა და თანამშრომლობა სკოლის კულტურის მახასიათებელია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- პირადი საქმეები
- ზეპირი ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ჩაისუბნის საჯარო სკოლაში სისტემატიურად ხდება პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება, იკვეთება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებები , შემდეგ კი შედეგების ანალიზის საფუძველზე იგეგმება და განხორციელდება პერსონალის განვითარების პროცესი.სკოლაში ამ მიმართულებას მონიტორინგს უწევს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, კათედრები, რომელთა მიერაც ხდება მასწავლებელთა გაკვეთილებზე დასწრება და უკუკავშირის მიღება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; საგაკვეთილო პროცესზე ფორმალური და არაფორმალური ვიზიტის დროს გამოვლენილ საჭიროებებზე რეფლექსიის, უკუკავშირისა და შეფასების დროს გამოკვეთილი საჭიროებებზე მსჯელობენ შეფასების ჯგუფის წევრები მასწავლებლებთან ერთად და სახავენ დაძლევის გზებს. ასეთი დამოკიდებულება აისახა სასკოლო საზოგადოების პროფესიულ ზრდაზე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, სტატუსის ამაღლებასა და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ეს აისახა წარმატებულ პედაგოგთა საქმიანობაში.სკოლის მასწავლებელთა ნაწილმა შეიცვალა სტატუსი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სკოლაში დანერგილია თანამშრომელთა ინტეგრაციის პრაქტიკა. ახალი კადრის სკოლაში შემოსვლის პირველივე დღიდანვე ხდება მისი წარდგენა სასკოლო თემის წინაშე. აცნობენ დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს, რათა სწრაფად მოხდეს შეგუების პროცესი.

უმნიშვნელოვანესია სკოლის შინაგანაწესის გაცნობა,სკოლის ინფრასტრუქტურის დათვალიერება. სკოლის საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფში დამატება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლაში დამკვიდრებულია წახალისების ისეთი ფორმები, როგორებიცაა, ბრძანებით მადლობის გამოცხადება,წამახალისებელი ფულადი პრემია, სიგელები . ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

შინაგანაწესი

ბრძანებები

შეფასების ჯგუფის დოკუმენტები

ზეპირი ინტერვიუ

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად . სკოლაში შექმნილია განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც მიზნად ისახავს სწავლებასწავლის ხარისხის გაუმჯობესებას და ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. იგი მხარს უჭერს პედაგოგთა და მოსწავლეთა ინიციატივებს, სხვადასხვა კვლევებისა და პროექტების განხორციელებას, საგაკვეთილო პროცესების მართვას და მათ ანალიზს. ჯგუფი მიზანმიმართულია პრობლემების იდენტიფიცირებასა და აღმოფხვრაზე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2.იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები; სკოლაში მუდმივად მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მონიტორინგი, რომელიც პრობლემების იდენტიფიცირებაზეა ორიენტირებული, რაც თავის მხრივ სასწავლო პროცესის ადეკვატურად მართვის შესაძლებლობას იძლევა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
3.სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა; სკოლაში მოქმედებს გასაჩივრების სხვადასხვა მექანიზმი; სამეურვეო საბჭო, დისციპლინარული კომიტეტი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები . სკოლის შინაგანაწესი, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი - ემსახურება კანონიერუ უფლებების დაცვას. სკოლა თანამშრომლობს უსაფრთხოებასა და წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირთან, რომლის უპირველეს მიზანს წარმოადგენს სკოლაში უსაფრთხოებისა და

მოსწავლეთა, ასევე, პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა. სკოლის უსაფრთხოებას ემსახურებიან მორიგე მასწავლებლები, დარაჯები. სკოლას აქვს ვიდეო სათვალთვალო კამერები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შინაგანაწესი

მრჩეველთა საბჭოს ოქმები

დისციპლინური კომიტეტის ფუნქციები

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები; მშობელთან კონტაქტს, რეგულარულად ამყარებს კლასის დამრიგებელი სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალების მეშვეობით, მაგ: სატელეფონო , სოციალური ქსელი, დახურული ჯგუფები. სკოლა ინფორმაციის მიწოდებას წერილობითი ფორმებითაც ახორციელებს, რომლითაც მშობლებს იწვევს მშობელთა კრებებზე. სკოლას აქვს კარგი პრაქტიკა ბარათებით კომპლექსური დავალების შეტყობინებისა. მშობლება აწვდიან ბარათებს , რომლიდანაც იღებს მშობელი ინფორმაციას რა თემაზე, დროსა და ვადებში შეასრულებენ მოსწავლეები კომპლექსურ დავალებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ჩაისუბნის საჯარო სკოლა ღიაა და აძლევს საშუალებას სასკოლო საზოგადოებას საკუთარი აზრის გამოთქმის, პოზიციის დაფიქსირების, გადაწყვეტილების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობას. დემოკრატიულ პრინციპებზე

დაყრდნობით სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად ორგანიზებას უწევს კოლეგიალური ორგანოების არჩევნების ჩატარებას მასწავლებლების , მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სამეურვეო საბჭო

დისციპლინური კომიტეტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;

სკოლას გაცნობიერებული აქვს, რომ უსაფრთხოება დაცული უნდა იყოს სკოლის ნებისმიერი სუბიექტისათვის, ის გულისხმობს, როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ დაცულობას. .სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. სკოლას ჰყავს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, გააჩნია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. თვალსაჩინოდ გამოკრულია საევაკუაციო გეგმები , სახანძრო ფარი, ცეცხლმაქრები . სკოლას ჰყავს დარაჯი, რომელიც პასუხისმგებელია არასამუშაო საათებში სკოლის დაცვაზე.

სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას.ფიზიკური უსაფრთხოების დაცვაში ჩართულია სკოლის საზოგადოება. შემუშავებულია მორიგეობის განრიგი, სკოლის სივრცეში გადაადგილებას აკონტროლებს მორიგე. სკოლის მისაღებში გამოყოფილია პირი, რომელიც სარეგისტრაციო ჟურნალში ატარებს ვიზიტორთა მონაცემებს.

სკოლამ წარმოადგინა უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციებშის მართვის გეგმა (7.11.2023).

სკოლას არ აქვს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის დოკუმენტი. შესაბამისობის გეგმაში მიუთითა შესრულების ვადა, რომელშიც დასრულების ვადად მითითებულია 11.09.2023 წელი.

სკოლის შენობა არის კაპიტალური. აგებულია 1967 წელს. თვითშეფასების კითხვარში მითითებულია, რომ შენობის მდგრადობა არ საჭიროებს დასკვნას, მაგრამ მიუხედავად სკოლის შეხედულებისა პროცესი დაწყებულია. 8 სექტემბრს მიმართა სკოლამ სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით. მდგრადობის დაკვნას, როგორც სკოლა აღნიშნავს შესაბამისობის გეგმაში, წარმოადგენს საბჭოს სხდომაზე.

სკოლას, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, შექმნილი აქვს მრჩეველთა საბჭო, დამტკიცებულია უსაფრთხოების დებულება. თვალსაჩინო ადგილზე აქვს გამოკრული ცხელი ხაზის ნომერი "112". სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისავთის საჭირო ინვენტარით და სხვა საშუალებებით. პირველადი დახმარების აღმოჩენას უზრუნველყოფს სკოლის ექიმი.

რჩევა: სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

2. სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგს უზრუნველყოფს ბრძანებით დანიშნული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, კლასის დამრიგებლები და მორიგე მასწავლებლები. სკოლა შემოსაზღვრულია ღობით და კონტროლდება მოსწავლეთა ეზოდან გადასვლა, ასევე უცხო პირების შემოსვლა სკოლის ტერიტორიაზე სკოლას ჰყავს დარაჯი. სკოლაში მორიგეობენ მასწავლებლები სართულების მიხედვით, სართულებზე გამოკრულია გაკვეთილების ცხრილი და მორიგეობის განრიგი.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
3.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს; ინსტრუქციებში, სკოლამ შეიმუშავა ინსტრუქციები ბავშვზე ძალადობის სავარაუდო ძალადობის შემთხვევაში. განახორციელა სასკოპროექტი,,მოვაგვაროთ კონფლიქტი ჩანასახშივე" რომელიც პრევენციული აქტივობებით იყო გაჯერებული. მოსწავლეები მსჯელობდნენ, მონაწილეობდნენ დებატებში, დისკუსიებში, აფიქსირედნბენ თავიანთ აზრებს . აკეთებდნენ ბუკლეტებს, პლაკატებს. სკოლამ ასევე განახორციელა პროექტი ,, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება".სკოლაში ექიმი ატარებს შეხვედრებს თემაზე: ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;.

სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი, რომელსაც ატარებს სასკოლო ცხოვრებაში. სკოლაში დანიშნული ექიმი თვალყურს ადევნებს და უზრუნველყოფს სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვას, სკოლის შენობაში არის შიდა საპირფარეშოები, მ/შ ადაპტირებული სველი წერტილი პირველ სართულზე,აგრეთვე სველი წერტილი სკოლის ეზოში. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით. სკოლა უზრუნველყოფილია სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებებით, შესაბამისი წესით ხდება დასუფთავება. სასმელი წყლის ხარისხი შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს სრულად არის დაცული სანიტარულ ჰიგიენური ნორმები, სკოლა შეუფერხებლად მარაგდება ცენტრალური წყალმომარაგებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

.სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი და უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას, ამისთვის გამოყოფილი არის პერსონალური ინფორმაციის დაცვაზე პასუხიმგებელი პირი. სკოლის მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილ მონაცემებში დაფარულია პიროვნების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები. მშობელი ხელმოწერით აცხადებს თანხმობას, რათა სკოლამ განახორციელოს მისი შვილის ფოტო-ვიდეო გადაღება, აუდიო ჩაწერა, ამ გზით მოპოვებული ინფორმაცია დაამუშაოს და გამოიყენოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლა იცავს პერსონალურ მონაცემებს შემუშავებული მექანიზმის მიხედვით. განსაზღვრულია დოკუმენტებზე წვდომის უფლების მქონე კონკრეტული პირი/ პირები " eflow" და "e-shool" მონაცემთა ბაზებში. ასევე დაცულია ელექტრონულ ჟურნალში დაფიქსირებული ჩანაწერები. მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ: სკოლის დირექტორს, მოადგილეს, დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებს , საქმისმწარმოებელს. ვიდეო მონიტორინგის შედეგად მიღებული ჩანაწერები 30 დღის განმავლობაში ინახება სათანადოდ დაცულ ადგილზე. ჩანაწერის მიღება დასაბუთებული მოთხოვნით შეუძლია სკოლის დირექციას, დისციპლინურ კომიტეტს, მრჩეველთა საბჭოს. ასევე, სამართალდამცავ ორგანოებს – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. კანონიერ წარმომადგენელს საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია ადგილზე გაეცნოს სხვისი პერსონალური მონაცემების დაცვით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. უსაფრთხოების მექანიზმის გაუმჯობესების მიზნი იყენებს მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ წერილი და დოკუმენტები;
- შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დოკუმენტი
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების წერილი
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი
- ვიზუალური დათვალიერება;
- ზეპირი ინტერვიუ
- უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისათვის შესაბამის ინფრასტრუქტურას. საკლასო ოთახები აღჭურვილია ასაკის შესაბამისი მერხებით. სკოლას შეუძლია დააკმაყოფილოს ავტორიზაციით მოთხოვნილი მოსწავლეთა რაოდენობა შესაბამისი,

ინფრასტრუქტურით. სკოლას აქვს საკმარისი საკლასო და დამატებითი ოთახები, კომპიუტერული ლაბორატორია, სამასწავლებლო, სააქტო დარბაზი, სპორტ დარბაზი, სასადილო, ექიმის კაბინეტი, რესურს ოთახი, დირექციის და ადმინისტრაციის კაბინეტები, დარაჯის ოთახი, ტექნიკური პერსონალის ოთახი, კეთილმოწყობილი ეზო. სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. **სკოლამ შესაბამისობის გეგმაში მიუთითა, რომ შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნას წარმოადგენს საბჭოს სხდომაზე.**

ინდიკატორი დამაყოფილებულია

2. სკოლას რესურს ოთახი განთავსებული ჰქონდა მეორე სართულზე , რის გამოც მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობა შეზღუდული იყო სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის. სკოლის ბიბილიოთეკა განთავსებული იყო სკოლის ძირითადი შენობიდან მოშორებით ძველ, ნახევრადავარიულ შენობაში. გარედან შენობის ვიზუალური დათვარიერებით გამოიკვეთა, რომ უსაფრთოების ნორმები დარღვეული იყო. შენობის შიგნით დგას ნესტის მძაფრი სუნი. ფაქტობრივად ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლებელი იყო.სკოლას არ ჰქონდა დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ბიბლიოთეკის დებულება. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტების მოსაზრება - ბიბილიოთეკა და რესურსოთახი განათავსა პირველ სართულზე- აღნიშნული გაწერილია შესაბამისობის გეგმაში .შეიმუშავა ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და დაამტკიცა დებულება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის შენობაში არის ადაპტირებული სველი წერტილი. შესაბამისობის გეგმაში სკოლამ მიუთითა, რომ რესურს ოთახი განათავსა პირველ სართულზე., მტკიცებულებად გადმოაგზავნა ფოტო მასალა. სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. მეორე სართულზე, ერთ საკლასო ოთახში, კარადაში განთავსებული აქვთ მწირი რესურსები. სკოლამ უზრუნველყოს **საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვა შესაბამისი რესურსებით.**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში არის მყუდრო გარემო ,რომელიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მშვიდად წარმართვას - მოვლილი ეზო, ნათელი საკლასო ოთახები, ფართო დერეფნები, პროფესიის ათვისების მიზნით გამოყოფილი ოთახი, დამხმარე სივრცეები, ექიმის კაბინეტი. ეს ყველაფერი ქმნის მოსწავლის მხარდაჭერის პირობას და ხელს უწყობს ფიზიკურ სიჯანსაღეს, თანამშრომლობითი და გუნდური უნარების განვითარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5.საგნობრივ კურიკულუმებში მითითებული ლიტერატურა განთავსებულია სკოლის ბიბლიოთეკაში. სკოლას აქვს კომპიუტერები. სკოლას აქვს სპორტული ინვენტარი, სპორტული დარბაზი, რესურს ოთახი. სკოლას აქვს კურუკულუმის რეალიზაციისთვის გარკვეული თვალსაჩინოებები, პლაკეტები, სქემები, მულაჟები.

6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ბიბლიოთეკის დებულება
ბიბლიოეკით სარგებლობის წესი
ფოტომასალა
ვიზუალური დათვალიერება
ზეპირი ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

გასულ სასწავლო წელს შეძენილი იქნა სკოლის ბიუჯეტიდან 3 პერსონალური კომპიუტერი, რაც საჭიროებიდან გამომდინარე, როგორც სკოლა აღნიშნავს , არასაკმარისია. სკოლას აქვს მოძველებული კომპიუტერები. თუმცა, მიუხედავად სიძველისა, არსებული ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა სკოლას აძლევს საშუალებას სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესი წარმართოს სრულფასოვნად- დაახარისხოს, რანჟირება გაუკეთეთოს ინფორმაციას და დროულად დაამუშაოს დოკუმენტაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

სკოლამ შეიმუშავა ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის წესი.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვიზუალური დათვალიერება
- ზეპირი ინტერვიუ

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმის წარმოების წესი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით დოკუმენტების შესრულების, კონტროლის, ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, რომლის მოვალეობები რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით. ჩასარიცხი მოსწავლის მშობლის განცხადება ტარდება დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემა eFlow - ში, სადაც მიენიჭება რეგისტრაციის ნომერი, მშობლის განცხადებისა და იმ საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ ხდება კანონმდებლობით გათვალისწინებულ პერიოდში ბრძანების დაწერა, რომლის საფუძველია მშობლის განცხადება . ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მართვაში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს მთავარობის შემოთავაზებულ ყველა ელექტრონულ ინსტრუმენტს, მათ შორის სკოლის მართვაში გამოიყენება eflow, eschool, rs.ge. eflow-ის საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

ზოგადი განათლების მართვის პროფილი სრულყოფილია. მასში სრულად ასახულია მონაცემები სკოლის პერსონალისა, მოსწავლეების და მათი მშობლების შესახებ. ამასთანავე, პროფილის განახლება ხდება უწყვეტ რეჟიმში. დღეის მდგომარეობით, სკოლაში ირიცხება 65 მოსწავლე, სკოლას ემსახურება 29 მომსახურე პერსონალი, მათ შორის 18 მასწავლებელი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სკოლის დირექცია თანამშრომლობს საგანმანათლებლო კონტროლის უწყებებთან და აწვდის ანგარიშებს პრეზიდენტს, პრემიერ მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს და საკანონმდებლო მაცნეს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*ვიზუალური დათვალიერება
- ზეპირი ინტერვიუ
- დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში და სამეურვეო საბჭოს შესაბამისი ოქმი

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1..სასკოლო საზოგადოების ინფორმირება შესაძლებელია დამრიგებლის საშუალებით. სკოლა ინფორმირებისათვის იყენებს სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებსა და თიმსის პლატფორმას. სკოლამ წარმოადგინა საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი (ბრd. 2-76. 27.10.23)

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.სკოლამ წარმოადგინა მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელების მექანიზმების შესახებ ინფორმაცია; სკოლას ჰქონდა ინფორმაციის გავრცელების შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტები.სადამროგებლო პროგრამა, სოციალური ქსელი, თიმსის ჯგუფები

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3 სკოლამ წარმოადგინა საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებული უკუკავშირის დამადასტურებელი დოკუმენტებ შხვედრის ფორმები. სკოლა ეცადა გამოეკვეთა უკუკავშირის ეფექტიანობა საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა იყენებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შემოთავაზებულ პლატფორმას ინფორმაციის გასათავსებლად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა იყენებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შემოთავაზებულ პლატფორმას skolebi. emis. ge-ს სკოლის მისიის, ხედვის,ღიერებულებების, სტრუქტურის, პროგრამის სახელწოდებების, ჩარიცხვის პროცედურებისა და მიანიჭებელი კვალიფიკაციის, სასწავლო პროცესთთან დაკავშირებელი აუცილებელი მოთხოვნების, მოსწავლეთა მხარდაჭერის მექანიზმების, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიშის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებისა და საკონტაქტო ინფორმაციის განსათავსებლად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ზეპირი ინტერვიუ

სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაციის დათვალიერება

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრება

პორტალი- skolebi emis ge.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1..სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება; სკოლას აქვს ბიუჯეტი, რომელიც ორიენტირებულია საგანმანათლებლო საქმიანობისა და სტრატეგიული სამოქმედო გეგმების განხორციელებაზე. ბიუჯეტის შემუშვებაში მონაწილეობს სასკოლო საზოგადოების წევრები.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2.სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილება დროულად წარედგინება სკოლის დირექტორის მიერ სამეურვეო საბჭოს განსახილველად , ბიუჯეტის შედგენისას გათვალისწინებულია გასული წლის სამოქმედო გეგმის შესრულება, რის საფუძველზე მუშავდება პროექტი, რომელიც განსახილველად გადაეცემა სამეურვეო საბჭოს და სამეურვეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.. დამტკიცებული ბიუჯეტი საჯაროა სასკოლო საზოგედოების წევრებისთვის, გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ყოველი კვარტლის ბოლოს ბუღალტერი სკოლის დირექტორს აწვდის მონაცემებს, ბიუჯეტის ფაქტიური შესრულების შესახებ. დირექტორის მხრიდან ხდება ინფორმაციის გასაჯაროება . წლის ბოლოს დირექტორი ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს,

ინდიკატორი დაკმაყოფილებილია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტი
- ზეპირი ინტერვიუ
- სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე.
- წლიური ფინანსური ანგარიში

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ჩაისუბნის საჯარო სკოლაში შემუშავებულია და დამტკიცებულია შინაგანაწესი, ასევე მოსწავლეთა ქცევის წესები, ომლებიც მიიღება მათივე ჩართულობით. სკოლის შინაგანაწესისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების გათვალისწინებით დაცულია მოსწავლეთა უფლებები. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი რომელიც საჭიროების შემთხვევაში წარმართავს თავის საქმიანობას კანონმდებლობის შესაბამისად. ყველა დოკუმენტი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, სურვილის შემთხვევაში დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს ინფორმაციას. სკოლაში სწავლობს სხვადასხვა აღმსარებლობის მოსწავლეები, რომლებიც ერთ საგაკვეთილო სივრცეში არიან ჩართულები, თუმცა არიან უმცირესობაში მყოფი მოსწავლეები, რომლებიც ყოველთვის გრძნობენ ემპათიასა და მხარდაჭერას თანატოლთაგან. შეესაბამება

2. სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებაში. ქცევის წესები შემუშავებულია მოსწავლეების ჩართულობით. მოსწავლეთა უფლებების დაცვისა და ცნობიერების ამაღლებას ემსახურება სადამრიგებლო პროგრამები, მოქალაქეობის, მე და საზოგადოების, სამოქალაქოს გაკვეთილები. სკოლა ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში აცნობს სასკოლო საზოგადოებას შინაგანაწესს მშობელთა კრებებსა და კლასის საათის დროს. შეესაბამება

3. მოსწავლესთან ან მის კანონიერ წარმომადგენელთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას. რომლის ვადა განისაზღვრა მოსწავლის მიერ სწავლის დასრულებამდე, ასევე ხელშეკრულების აღნიშნულმა მუხლმა დაარეგულირა ხელშეკრულების ავტომატურად შეწყვეტის საფუძვლები. ხელშეკრულების შინაარსში გათვალისწინებულია მოსწავლეთა კონფიდენციალურობის საკითხიც. პირველ მშობელთა კრებაზე ხდება ხელშეკრულების შინაარსის გაცნობა და მშობელი ხელისმოწერით ადასტურებს თანხმობას ხელშეკრულების პირობებზე და სკოლის შინაგანაწესის გაცნობაზე. სკოლა უფლებამოსილია მოსწავლის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მაგ: სახელმძღვანელოების დაკარგვის, სასკოლო ნივთების ან ქონების განზრახ დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში მოსთხოვოს მოსწავლის მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს დაზიანებული ნივთის ანაზღაურება. შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დისციპლინარული კომიტეტის სხდომის ოქმი;
2. შინაგანაწესი, წესდება;
3. ხელშეკრულებები;
4. სკოლის ვებ გვერდი;
5. ფესიბუქ გვერდი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილ ვადებით და პირობებით ხდება მოსწავლეთა ჩარიცხვა. საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლე რეგისტრაციას გადის განათლებისა და მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებრგვერდზე. მოსწავლის მშობლის მიერ საჯარო სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარმოუდგენლობის გამო სკოლაში გამოთავისუფლებულ ადგილებზე შეუძლიათ მეოთხე ეტაპზე დარეგისტირერება. ოთხივე ეტაპის დასრულების შემდეგ კი იწერება ჩარიცხვის ბრძანებები. სკოლაში გამოიცემა ბრძანებები მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრაზე და მათი აკადემიური მოსწრების აღიარებაზე. აღნიშნული წესი და ვადები განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. შეესაბამება

2. სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, ყველა პროცედურის დაცვით, პირველკლასელი სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში სარგებლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი ვადებითა და რეგულაციით, სტატუსის დადგენის შემდეგ მოსწავლე ბრძანების საფუძველზე ირიცხება პირველ კლასში. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლას ჰქონდა შემთხვევა როცა მოსწავლეს სტატუსი შეუჩერდა. სტატუსის შეჩერების მიზეზი იყო საზღვარგარეთ წასვლა. შეესაბამება

3. სკოლას აქვს სხვადასხვა ინფორმაციის გაზიარების მექანიზმი: ვებ გვერდი, ფეისბუქ გვერდი, ელ. ჟურნალის კომენტარები, მესენჯერ ჯგუფი. სსგ გაზიარებულია სკოლის ბლოგზე, საინფორმაციო დაფაზე. ფასიანი მომსახურება სკოლას არ აქვს. შეესაბამება

4. სკოლის მიერ ეროვნული სასაწავლო გეგმით განხორციელებული პროგრამების, სერვისების, რესურსების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია არის გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირთათვის კანონმდებლობის შესაბამისად.

ყველა ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია თავსდება სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში, ამასთანავე, სკოლაში არსებული საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების დაფაზე. გარდა ამისა მასწავლებლებისა და კლასის დამრიგებლების მიერ ინტენსიურად ხდება მოსწავლეთა ინფორმირება ზემოთ მოცემული სხვადასხვა საკითხის შესახებ. შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება;
2. აღრიცხვის ფორმები;
3. **ვებ გვერდი;**
4. ინფრასტრუქტურა;
5. ფესიბუქ გვერდი.
6. ხელშეკრულებები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეთა სასკოლო გარემოში ადაპტირებას ახორციელებს სადამრიგებლო პროგრამით და შინაგანაწესით. მექანიზმები გაწერილია სადამრიგებლო პროგრამებსა და სკოლის შინაგანაწესში. კლასის დამრიგებლები ყოველი ახალი მოსწავლის მიღების დროს ადაპტირების მიზნით ატარებს სხვადასხვა აქტივობას.

დამრიგებელი თვალყურს ადევნებს მოსწავლეთა ქცევას, იკვლევს მის ინტერესთა სფეროს, სოციალურ გარემოს და საჭიროების შემთხვევაში ზრუნავს პრობლემების აღმოფხვრაზე და კონფიდენციალობის დაცვაზე. სკოლაში არის ჯანსაღი და პოზიტიური გარემო, რომლის შექმნაში აქტიურად არის ჩართული სკოლის ყველა სტრუქტურული ერთეული. გარდა ამისა მნიშვნელოვანია მასწავლებელთა და დამრიგებელთა როლი, რომელთა ჩართულობითაც, სასწავლო გარემოსთან მოსწავლეთა ადაპტაციის პროცესი დიფერენცირებული მიდგომების საშუალებას იძლევა, რათა მოსწავლეთა ცოდნა და შესაძლებლობები მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული. შეესაბამება

2. სკოლაში სწავლის დაწყებისას ყველა კლასის დამრიგებელი თავის სადამრიგებლო პროგრამაში შინაგანაწესიდან გამომდინარე ასახავს მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობ ფაქტორებს. სკოლა ხელმძღვანელობს ტრანზიციის მხარდაჭერის ზოგადი სახელმძღვანელოთი. კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დაწყებამდე წინასწარ გეგმავენ მომავალ მოსწავლეებსა და მშობლებთან როგორც ჯგუფური, ასევე ინდივიდუალური საორიენტაციო შეხვედრებს. ბავშვებს ეძლევათ შესაძლებლობა, წინასწარ გაეცნონ და შეეგუონ მომავალ დამრიგებელს, ისევე, როგორც მასწავლებელს ეძლევა შესაძლებლობა, წინასწარ გაიცნოს ბავშვები, გაეცნოს მათ საჭიროებებს, ძლიერ მხარეებსა და განსაზღვროს სასწავლო პროცესში მათი ჩართვის ხელშეწყობის გზები. შეესაბამება

3. სკოლას გააჩნია მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. წარმატების აუცილებელი პირობაა მოტივირებული გარემოს შექმნა, რასაც სკოლა ყოველთვის ხელს უწყობს და მხარდაჭერას უცხადებს ნებისმიერ იმ ინიციატივას ან აქტივობას, რომელიც მიმართულია მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისკენ. ამისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მოსწავლეთა თვითმმართველობა, რაც საშუალებას იძლევა უზრუნველყოფილი იქნეს მოსწავლეთა ჩართულობა. გარდა ამისა მასწავლებლები სისტემატიურად ეხმარებიან მოსწავლეებს გაკვეთილების მიმდინარეობისას, აძლევენ რჩევებს, რეკომენდაციებს, განმარტებებს მათთვის გაურკვეველი საკითხების გარშემო. შეესაბამება

4. სკოლას გააჩნია ხელშემწყობი გარემო საიმისოდ, რომ მოხდეს მოსწავლეთა მხრიდან ინოვაციებისა და იდეების რეალიზება, ხორციელდება სასკოლო და საერთაშორისო პროექტები, ხდება სპონსორების მოძიება და არაერთგზის იქნა მოპოვებული ფინანსური გრანტები, რომელიც გამოყენებული იქნა მიზნობრივად მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. სკოლაში არსებობს სასწავლო პროგრამების ექსტერნის ფორმით დაძლევის პრაქტიკა. ექსტერნის ვადებისა და სკოლის მხრიდან მხარდაჭერის შესახებ წინასწარ ინფორმირებულია მოსწავლე, მშობელი, კანონიერი წარმომადგენელი. შეესაბამება

5. სკოლის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი არაფორმალურ აქტივობებში, ისინი ხშირად მუშაობენ საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის აქტუალურ საკითხებზე და საკმაოდ წარმატებულადაც. აქტიურად მიმდინარეობს არაფორმალური აქტივობების მხარდაჭერა მოსწავლეტა ინტერესებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით. სკოლას მემორანდუმი აქვს გაფორმებული პროფესიულ კოლეჯ „ჰორიზონტთან“ ამ უკანასკნელის მხარდაჭერით სკოლაში ფუნქციონირებს შრომითი უნარების განვითარებისთვის ორი პროგრამა 1. გიდისა და 2. მკერავ დიზაინის პროგრამები. მოსწავლეები ხალისით ერთვებიან და ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობებს, როგორც სკოლის შიგნით ასევე აქვთ გასვლითი აქტივობები. მაგ: თავად კოლეჯში ექსკურსია, სხვადასხვა მინი საწარმოს დათვალიერება. „ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველო“ გამოცხადებულ კონკურსში აქტიურად ჩაერთო არჩევითი საგნის მეწარმეობის მხარდაჭერით მოსწავლეები და წარადგინეს 8 საგრანტო პროექტი, რომლიდანაც 6 პროექტი დაფინანსდა. სკოლაში ბავშვებისათვის ხელმისაწვდომია ნებისმიერი თავისუფალი სივრცე, სადაც მათ შეუძლიათ ინოვაციური იდეების ინიციატივების შესახებ მსჯელობა, გაანალიზება, შემდეგ კი დაგეგმვა და რეალიზება. შეესაბამება

6. იმისათვის, რომ მოწავლეს გაუმარტივდეს სკოლაში თვითრეალიზება სკოლა ხშირად იყენებს როგორც საგაკვეთილი პროცესში, ასევე სადამრიგებლო საათებზე, დაკვირვებისა და თვითშეფასების ფორმებს. ხდება პრობლემების იდენტიფიცირება, რჩევების მიცემა, მაგ: (მიმართვა, წერილი, სიტყვიერი რჩევები, შუამდგომლობა) და.ა.შ. რითაც მოსწავლეებში გაღვივებულია ნდობის ფაქტორი. სკოლაში არსებობს კვლევების ჩატარების გამოცდილება. მათ შორის მოსწავლეთა აზრის გაგებისა და შეფასების მიმართულებით. შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო პროექტები;
2. შეფასების ფორმები;
3. მემორანდუმი;
4. სიგელები;
5. კლუბები, წრეები;

6. ვებ-გვერდი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც კი სკოლაში შემოდის სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებიდან ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესაებ, ეს ინფორმაცია დამრიგებლების მიერ ეცნობება მოსწავლეებს და დაინტერესების შემთხვევაში მოსწავლეები ესწრებიან აღნიშნულ შეხვედრებს. კარიერული დაგეგმვა და პროფესიული განათლება უზრუნველყოფს მოსწავლეთა კონკრეტულ დასაქმებას ამა თუ იმ სფეროში. ამ მხრივ სკოლას აქვს საუკეთესო გამოცდილება. რამდენიმე წლის განმავლობაში მოქმედებდა პროფესიული ორიენტაციის გაკვეთილები მე-9 და მე-11 კლასებში. გეგმის მიხედვით აწყობდნენ გასვლებს პროფესიულ სასწავლებლებში. ამჟამად ხორციელდება პროფესიული უნარების განვითარებისა და კარიერული დაგეგმარებისათვის ხელშემწყობი პროექტი, რომელიც წარმოადგენს მემორანდუმს ერთი მხრივ ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯ „ჰორიზონტ- სა" და მეორე მხრივ, სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ჩაისუბნის საჯარო სკოლას შორის. სკოლის რამდენიმე მოსწავლემ უკვე გადაწყვიტა დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძოს მკერავ-დიზაინერის კურსზე კოლეჯში. შეესაბამება

2. სკოლა მუდმივად ცდილობს, მიაწოდოს მოსწავლეებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს ინფორმაცია ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. რისთვისაც მიმართავს სხვადასხვა მექანიზმებს: სადამრიგებლო საათები, გასვლითი ექსკურსიები. ნებისმიერი ინფორმაცია ხელმისაწვდომია სკოლის ყველა როგორც მოსწავლისათვის, ასევე პედაგოგებისა და მშობლებისათვის, რომელიც გამოკრულია სიახლეების დაფაზე, ღია კარის დღე, საინფორმაციო ბუკლეტები, შეესაბამება

3. სკოლა ახალი სასწავლო წლის დასაწყისში დაგეგმისას აუცილებლად ითვალისწინებს მასწავლებელთა, დამრიგებელთა, კათედრების უკუკავშირს გაწეული მუშაობის ანგარიშებს, მოსწავლეთა სწავლება-სწავლის ხარისხის დონეს, სახავს მათ გაუმჯობესების და

ამაღლების მიზნებსა და ამოცანებს, ითვალისწინებს პედაგოგთა სატრენინგო საჭიროებებს და მშობელთა ინტერესებს, მომავალი დაგეგმარება აისახება ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო პროექტები;
- მემორანდუმი;
- კლუბის სილაბუსი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კლუბის წესდება.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ჩაისუბნის საჯარო სკოლაში სწავლის სირთულეების იდენტიფიცირება ხდება საგნისმასწავლებლების მიერ, ინფორმაციას აწვდიან სპეციალურ მასწავლებელს და პრობლემის დაზუსტების მიზნით ინფორმაციას აწვდის სკოლა მულტიდისციპლინურ გუნდს და ამ უკანასკნელის დასკვნის საფუძველზე მოსწავლეები აყავს ისგ გეგმაზე. სკოლას ჰყავს 5 ისგ გეგმაზე მყოფი მოსწავლე. რომელიც დგება სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირის განმავლობაში. სსსმ მოსწავლისათის ისგ გეგმების შემუშავება ხდება ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაშია: საგნის მასწავლებლები, სპეციალური მასწვლბელი, კლასის დამრიგებლის, მულტიდისციპლინარული გუნდის თანამშრომელი, გეგმის შედგენისას მშობელი აქტიურად თანამშრომლობს ჯგუფთან. აღნიშნულ პირებს ევალებათ უზრუნველყოს სასწავლო გეგმის შემუშავება და ხელი შეუწყოს მის განხორციელებას. მონაწილეობა მიიღოს ისგ -ს მონიტორინგში და მასალა წარუდგინოს სკოლის დირექტორს, განიხილოს სსსმ

მოსწავლის მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესი, მისი სასწავლო შედეგები, გამოწვევები. მოსწავლის სწავლისთვის შესაბამისი რესურსების საჭიროება მიაწოდოს დირექტორს, აწარმოოს და განახორციელოს ისგ გეგმის მონიტორინგი. სკოლას გააჩნია ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი, სამოქმედო გეგმა, შიდა მონიტორინგის ჯგუფი. შეესაბამება

2. მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე მოსწავლეს აქვს დასწავლის უნარის დაქვეითება და ქცევის მართვის პრობლემა. იგი იმყოფება მუდმივ მედიკამენტურ მკურნალობაზე. საგაკვეთილო პროცესში საგნის მასწავლებელთან ერთად მუშაობის პროცესში ჩართულია სპეციალური მასწავლებელიც, მაგრამ მაინც უმართავია. ხშირია შემთხვევა როცა მოსწავლე არ ემორჩილება სპეც. მასწავლებელს. საგაკვეთილო პროცესში იწყებს ხმაურს, ცდილობს გამოიწვიოს მასწავლებლები და მოსწავლეები, თუმცა მასწავლებლები ჩვეულ რითმში აგრძელებენ საგაკვეთილო პროცესების მართვას. არცერთი თანაკლასელი არ გამოხატავს პროტესტს, რადგან ისინი შეჩვეულნი არიან ასეთ სიტუაციას და ცდილობენ დაეხმარონ თანატოლს საკუთარი ქცევის მართვაში, სითბოთი და სიყვარულით პასუხობენ გამაღიზიანებელ გამოწვევებზე, ჩვეული აქტიურობით აგრძელებენ საგაკვეთილო პროცესში ჩართულობას, თანატოლების, პედაგოგებისა და მშობლების ასეთი მიმღებლობით თანდათან მოსწავლეში შეინიშნება პროგრესი , სკოლა მხარს უჭერს სსსმ მოსწავლეს ითვალისწინებს მათ შესაძლებლობებს,უნარებს, ცდილობს მათ ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში, სხვადასხვა ღონისძიებებში. შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო პროექტები,
2. სსსმ მოსწავლეთა რეგულაციები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას არ გააჩნია დამატებითი სხვა სერვისი. გარდა ტრანსპორტის მომსახურების, რომელსაც აფინანსებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. შეესაბამება

2. სკოლა სთავაზობს არასავალდებულო ხასიათის მომსახურეობას მოსწავლეთა შემდგომი განვითარების ხელშეწყობის მიზნით გარდა საკლუბო მუშაობისა. შეესაბამება

3. სკოლა ამ ეტაპზე არ ახორცუიელებს დამატებით (არასავალდებულო) მომსახურებას. შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	**+ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება -

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის საჯარო სკოლამ წარმოადგინა ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის,

შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია, რომელიც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს. კურიკულუმი წარმოაჩენს გზას, რომელსაც სკოლა სთავაზობს მოსწავლეს პიროვნული განვითარებისათვის. კურიკულუმი ერთი მხრივ წარმოაჩენს სკოლის ტრადიციებსა და პრიორიტეტებს, მეორე მხრივ უზრუნველყოფს შეთანხმებას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. კურიკულუმის დანერგვა წარმატებით მიმდინარეობს, რადგან იზიარებს და მონაწილეობს მის განვითარებაში მასწავლებლები, დირექცია და მშობლები. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგიაში ასახულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები და შეხედულებები, რომელიც სასწავლო პროცესის უწყვეტი პროცედურაა. ინტერესის გათვალისწინება ხდება ზეპირი

გამოკითხვებით, კომუნიკაციით, სკოლის საჭიროებების კვლევით, გამოცდილების გაზიარებით სასკოლო და რეგიონულ დონეზე. თანხმდებიან შემდეგ საკითხებზე: შეარჩევენ თემებს/საკითხებს/ქვესაკითხებს სტანდარტით განსაზრვრული შედეგების მისაღწევად. დაგეგმვის დროს ვითვალისწინებთ სსსმ მოსწავლის შესაძლებლობებს და ამის საფუძველზე ვადგენთ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. კურიკულუმში ცვლილება შესაძლებელია მოახდინონ ნებისმიერ დროს, როცა ამის საჭიროებას დაინახავენ. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვენბს.

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. სასკოლო კურიკულუმის შემუშავება იწყება წინა წლის კურიკულუმის დანერგვის პარალელურად მისი(ე.ი. წინა წლის კურიკულუმის) განხორციელების პროცესის ანალიზის და შეფასების საფუძველზე. შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლისათვის სასწავლო პროგრამების და მისი რეალიზებისათვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. შემუშავებაში კათედრის ყველა წევრი ერთვება და თანხმდებიან შემდეგ საკითხებზე: შეარჩევენ თემებს/საკითხებს/ქვესაკითხებს სტანდარტით განსაზრვრული შედეგების მისაღწევად; შეარჩევენ კომპლექსურ დავალებებს, რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისათვის. ასევე შეარჩევენ მექანიზმებს, რომლითაც შეისწავლიან სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მიმდინარეობას. კურიკულუმს გეგმავს კათედრა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლა გამოცდილების შესაბამისად გეგმავს მომავალი წლის კურიკულუმს. მომავლის გეგმებს უზიარებენ კოლეგებს, მშობლებს. გაზიარებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა საშუალებები. მაგალითად ელექტრონული ფოსტა, სკოლის სოციალური გვერდი, ელექტრონული ჟურნალი და სხვა. სწორად დაგეგმილი კურიკულუმის შედეგია მოსწავლის სასწავლო პროცესში მაღალი ჩართულობა და მიღწეული შედეგები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ ბრძანება
- კურიკულუმის ჩარჩო 2023-24 ს/წ.
- სასკოლო სასწავლო გეგმა

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

1. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ამოსავალია თითოეული მოსწავლის პიროვნული განვითარება. კურიკულუმებში დაგეგმილი აქვთ კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას და, ზოგადად, პიროვნულ განვითარებას ემსახურება. ვთქვათ, ქართულში უნდა შექმნან მრავალფეროვანი პროდუქტი ლექსის მიხედვით ნახატი შექმნან, პერსონაჟები გამოძერწონ, ერთი პერსონაჟის სახელით წერილი მისწერონ მეორე პერსონაჟს, ამბავი შეთხზან, მოთხრობა გააგრძელონ და ა.შ., რაც მოსწავლეთათვის საინტერესო გამოცდილება და გამოწვევაა. მათ შექმნას ძალისხმევა სჭირდება _ წარმატება გარანტირებული არ არის, თუ მოსწავლემ ძალისხმევა არ გაიღო. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა შემოქმედებით უნარებს ავითარებს, რადგან შემეცნებით-

შემოქმედებით პროდუქტს ქმნიან და პროცესში გამოთქვამენ ვარაუდებს, მოსაზრებებს. შექმნის პროცესი მათ ემოციურ კმაყოფილებას ანიჭებს. სასწავლო პროცესში კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დაგეგმვა ნიშნავს, რომ წახალისებულია მოსწავლის რეფლექსია, რადგან გასიტყვების პროცესი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის განუყოფელი ნაწილია. ნამუშევრის პრეზენტაციისას მოსწავლეები საუბრობენ იმაზე, რა გამოუვიდათ კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რომელმაც წარმატება მოუტანა, რა ვერ შეძლეს, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა წარმატების გზაზე. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი წინარე გამოცდილების გააქტიურებასაც ითვალისწინებს, რადგან ნაცნობ გამოცდილებაზე იგება ახალი ცოდნა. წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმებიც სასწავლო პროცესის თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებულობას ადასტურებს. სკოლის თვითშეფასების ფორმაში ასახულია, როგორ იკვლევენ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნას, საჭიროებებს და განსაზღვრავენ შუალედურ მიზნებს. როგორც სკოლის თვოთშეფასების ფორმაში აღნიშნავენ, მოსწავლეთა საჭიროებებს ადგენენ სადიაგნოსტიკო ტესტების გამოყენებით, რომლებიც ჯიპრაიდის სასკოლო რესურსების ბანკიდან აქვთ შერჩეული. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

კომპიუტერული ტექნოლოგიები: წარმოდგენილი დოკუმენტაციით სასწავლო პროცესში თემები (საკითხები) მეტწილად ლოგიკური თანმიმდევრობითაა დალაგებული(მაგ. მე-2კლასი), თუმცა რიგ კლასებში (ტექნოლოგიების გზამკვლევიდან გამომდინარე) ყველა სამიზნე ცნება არ მუშავდება (მაგ. მე-3 კლასში არ მუშავდება ცნებები: "პირობითი ნიშნები და „ალგორითმი", მე-4 კლასში არ მუშავდება "კომპიუტერის აგებულება", და "ინტერნეტი", მე-5 კლასში არ მუშავდება ცნებები: „პირობითი ნიშნები", "კომპიუტერის აგებულება", „მომხმარებლის გრაფიკული ინტერფეისი" , მე-6 კლასში არ მუშავდება ცნება-„გრაფიკული ინტერფეისი, ინტერნეტი"). სასწავლო პროცესისთვის და კომპლექსური დავალებებისთვის მწირი რესურსებია მოცემული, ბმულების გარეშე, ასევე არცერთი კლასის კურიკულუმში კონტექსტ მაგალითების სვეტი არ არის შევსებული, ცარიელია. კურიკულუმს არ ახლავს ატრიცები შეფასების კრიტერიუმებით. ინტერვიუს დროს პედაგოგმა გამოხატა მზაობა, რომ რჩევას აუცილებლად გაითვალისწინებს და მოახდენს კურიკულუმის მოდიფიცირებას. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

კომპიუტერულიტექნოლოგიები-რჩევა: კურიკულუმები შემუშავდეს ტექნოლოგიების გზამკვლევზე დაყრდნობით, კონტექსტ მაგალითების სვეტები შეივსოს შესაბამისი ინფორმაციით, მითითებული იქნეს კონკრეტული სასწავლო რესურსები, შემუშავდეს ტექნოლოგიების გზამკვლევზე დაყრდნობით, კონტექსტ მაგალითების სვეტები შეივსოს შესაბამისი ინფორმაციით, მითითებულ იქნეს კონკრეტული სასწავლო რესურსები, შემუშავდეს მატრიცები შეფასების კრიტერიუმებით.

2. საგნობრივ კურიკულუმებში იკვეთება სასწავლო პროცესის სამიზნე ცნებებზე ორიენტირებულობა. კურიკულუმებში განსაზღვრულია თემები, საგნობრივი საკითხები, ძირითადი და დამატებითი რესურსები, დავალებები, შეფასების ინსტრუმენტები, რომლებიც სამიზნე ნიშნულამდე _ გრძელვადიან მიზნებამდე _ მისვლის საშუალებებია. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ გლობალურ-ფუნქციური უნარები აღქმულია პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლად და არა სასწავლო მიზნებად. კურიკულუმებში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების საშუალებას ქმნის,

რადგან დაგეგმილი აქვთ მრავალფეროვანი პროდუქტის შექმნა. შემოქმედებით-შემეცნებითი პროდუქტის შექმნისას მოსწავლეებს შემოქმედებითობა სჭირდებათ. ასევე, უწევთ კრიტიკულად იაზროვნონ _ ფაქტები გააანალიზონ, იდეების გენერირება და ორგანიზება შეძლონ, მოსაზრებები დაიცვან, შეადარონ, დასკვნები გამოიტანონ, არგუმენტები შეაფასონ და პრობლემები გადაჭრან. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა ხშირად გუნდურ მუშაობასაც მოითხოვს, რაც მათ თანამშრომლობის უნარებს უვითარებს. რეფლექსია მოსწავლეებს ეხმარება თვითცნობიერების განვითარებაში _ მათ ხასიათსა და პიროვნებას აყალიბებს. როგორც სკოლის თვითშეფასების ფორმაში აღნიშნავენ, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის, კოლაბორაციის, მოქალაქეობის, ნებელობის უნარების გააქტიურებას ემსახურება სადამრიგებლო პროგრამები და სხვადასხვა აქტივობა, მაგ. კითხვის საათი, საკლუბო მუშაობა, სხვადასხვა საწარმოში, მუზეუმში, სახლ-მუზეუმში, ისტორიულ ადგილებში ექსკურსიები. ვთქვათ, პირველი-მეოთხე კლასის მოსწავლეები მშობლებთან ერთად იყვნენ ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმში, სადაც წარმოადგინეს სცენები, წაიკითხეს ლექსები, მოუსმინეს გიდს, ჩაერთნენ მასთან კომუნიკაციაში, მოსმენილის შემდეგ დაწერეს თავიანთი შთაბეჭდილებები, რომელშიც გამოკვეთეს თავიანთი პატივისცემა, მადლიერება, ცნობისმოყვარეობა. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. დაწყებითი კლასების კურიკულუმებში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღრმისეული სწავლება, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა რეალიზებულია სკოლაში. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმის დაგეგმვისა თუ განვითარების პროცესში ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს, სწავლის პოტენციალს, სტილს, მოტივაციასა და პირად ინტერესებს. ამის მიხედვით შეიტანეს ცვლილებები საგნობრივ კურიკულუმებში _ სასწავლო რესურსები და დავალების პირობა მოარგეს მოსწავლეთა საჭიროებებს. გააზრებულია შეფასების დიაგნოსტიკური დანიშნულება _ შეფასებისას მიღებულ მონაცემებს მასწავლებლები იყენებენ მომდევნო ინტერვენციებისთვის, მოსწავლეებს შეფასება აკვალიანებს, როგორ გააუმჯობესონ სწავლის პროცესი. გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთა შესაძლებლობები და ამის მიხედვით შედგენილი აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. აღნიშნეს, რომ სამი მასწავლებელი მონაწილეობს საქართველოს დაწყებითი განათლების ტრენინგებში, რამაც შესაძლებლობა მისცა მათ დიფერენცირებული მიდგომები დაენერგათ საკლასო სივრცეში. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. სწავლება და შეფასება განუყოფელ პროცესად არის აღქმული. შექმნილი აქვთ როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებს მიემართება. განმსაზღვრელ შეფასებას მიმართავენ გარკვეული პროცესის (თემის, საკითხის...) შესაჯამებლად, შედეგების აღსაწერად, განმავითარებელ შეფასებას კი _ თითოეული მოსწავლის განვითარების პროცესის გასარკვევად და პროცესშივე სათანადო ინტერვენციების განსახორციელებლად. ორივე შემთხვევაში შეფასება სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, აქტიურად რთავენ მოსწავლეებს როგორც კრიტერიუმების განხილვის პროცესში, ისე თვითშეფასებისა თუ ურთიერთშეფასების დროს, რადგან ეს ემსახურება მოსწავლეთა თვითცნობიერების განვითარებას. მოსწავლეებს უადვილდებათ როგორც პირობის გაგება, სასწავლო მიზნების განსაზღვრა, ისე იმის გარკვევა, რა აქვთ დასაძლევი, გასაუმჯობესებელი და რა გზით შეიძლება ამის გაკეთება. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

რჩევა: **საზ. მეცნიერებების შეფასების რუბრიკებში გაიწეროს ყველა სამიზნე ცნება, რუბრიკის სრულყოფისათვის.**

5. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, კურიკულუმების შემუშავებისას გაითვალისწინეს წარმატებული გამოცდილება და გამოწვევები და ასახეს კურიკულუმებში. გააანალიზეს მოსწავლეთა ნამუშევრები, კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესი, ზოგადად, მთელი სასწავლო პროცესი და კათედრაზე განიხილეს. სკოლის თვითშეფასების ფორმაში აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას სხვადასხვა წყაროს და მეთოდს იყენებენ. დაწყებით კლასებში მასწავლებლები დაკვირვების დღიურებს აწარმოებენ, რომლებშიც ჩანაწერებს აკეთებენ მოსწავლეთა მიღწევებსა და საჭიროებებზე, მიმართავენ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმებს. მიღებული მონაცემების დამუშავების საფუძველზე ხდება მიღწევის დონის განსაზღვრა, წინარე გამოცდილების შეფასება. შერჩეული აქვთ სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტიც, რომელიც მოსწავლეთა წინარე გამოცდილების განსაზღვრის შესაძლებლობას ქმნის. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

კომპიუტერული ტექნოლოგიები: დოკუმენტაციაში იკითხება კარგი პრაქტიკა კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვების გამოყენების (დანართი 1 სკოლის ფილოსოფია)

მტკიცებულებები:

- დაწყებითი კლასების საგნობრივი კურიკულუმები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- სკოლის თვითშეფასების ფორმა
- შეფასების რუბრიკები
- სადიაგნოსტიკო ტესტები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომ პროექტულ დავალებებს ეფუძნება, შესაბამისად მოსწავლე გარანტირებულად არის შემოქედებით პროცესში ჩართული. იგი მიმართულია ისეთ აქტივობებზე, რომ მოსწავლემ კეთების პროცესში შეიძინოს ცოდნა და საბოლოოდ ისეთ პროდუქტს ქმნიან, რომელიც მოიაზრებს ინდივიდუალურ შემოქმედებითი მუშაობის შედეგს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა გამოთქვეს სურვილი და მზაობა, რომ აქტიური სწავლებისა და მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გასაძლიერებლად, კიდევ უფრო აქტიურად ჩართავენ მოსწავლეებს მომავალში სხვადასხვა მრავალფეროვან აქტივობებში და წაახალისებენ მათ ინიციატივებს, სადაც მათ შეეძლებათ შემოქმედებითი უნარები კიდევ უფრო განავითარონ. ამ მიზნით ისინი უპირატესობას მიანიჭებენ პროექტულ სწავლებას. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

წარმოდგენილ კურიკულუმებში თემები ისეა წარმოდგენილი, რომ მოსწავლემ შეძლოს ცოდნის აგება წინარე გამოცდილებაზე დაფუძნებით. ასევე შუალედური მიზნები კომპლექსური დავავლებების სახით იმგვარად არის დაგეგმილი, რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას, რაც უზრუნველყოფს ახალი ცოდნის თანდათანობით და მოსწავლისთვის საინტერესო კონტექსტში კონსტრუირების შესაძლებლობას. წინარე ცოდნის გააქტიურებაში მათ ეხმარებათ შეკითხვები და სხვადასხვა აქტივობები. მოსწავლეებს ეძლევათ იმის შესაძლებლობა, რომ ახალი თემის ფარგლებში შესასწავლი მასალა დაუკავშირონ უკვე შესწავლილი საკითხებიდან მიღებულ ინფორმაციასა და ფაქტობრივ ცოდნას, სწავლა სწავლების პროცესში ჩამოყალიბებულ უნარ - ჩვევებს. მაგალითად უცხოურ ენაში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობიდან ჩანს, რომ აღნიშნული დავალებები ეფუძნება იმ წინარე ფაქტობრივ ცოდნას, ენობრივ საშუალებებს (ლექსიკას, გრამატიკა), სამეტყველო ქმედებას, რომელიც მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტს წარმოადგენს, კომპლექსური დავალების პირობა კი ისეა წარმოდგენილი, რომ მოსწავლეს უკვე არსებული ცოდნის საინტერესოდ გამოყენების შესაძლებლობას აძლევს. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

წარმოდგენილ კურიკულუმებში შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები თავის თავში მოიცავს მეტაკოგნიტურ კითხვებს, რომლებიც აფიქრებს მოსწავლეებს, თუ როგორ წარმართონ სწავლის პროცესი ეფექტიანად. გარდა ამისა, მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ისინი საგაკვეთილო პროცესში აქცენტს აკეთებენ ასევე მოსწავლეთა მიერ ურთიერთშფასებასა და შეფასებაზე, რაც სწორედ ამ უნარების განვითარებას ემსახურება. მაგალითად უცხოური ენის კურიკულუმი სწავლა-სწავლების პროცესში ითვალისწინებს ასევე სხვადასხვა სტრატეგიების გააქტიურებას (კითხვის, მოსმენის, ლაპარაკი და წერის სტრატეგიები), რომლებზე მუშაობაც მოსწავლეს განუვითრებს უნარებს იცნობდეს და ირჩევდეს საჭირო სტრატეგიებს და თავად მართავდეს სწავლის პროცესის გარკვეულ ეტაპებს. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

კურიკულუმებში წარმოდგენილი შუალედური მიზნები/ კომპლექსური დავალებების პირობები ისეა გაწერილი, რომ მოახდენს მოსწავლეების ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზებას. ისინი არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას დაეუფლებიან, მას პრაქტიკაში გამოიყენებენ, არამედ ექნებათ უნარი *მოახდინონ* მისი ანალიზი, თუ სად და როგორ გამოიყენოს ის. მაგალითად დაწყებითი საფეხურის ინგლისური ენის მეხუთე კლასის კურიკულუმში წარმოდგენილია ისეთი კომპლექსური დავალება, სადაც მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ პრეზენტაცია თემაზე - აქტივობები სკოლის შემდეგ (სპორტი, თამაშები, ჰობი). ამ დავალებაზე მუშაობისთვის მოსწავლეებს დასჭირდებათ როგორც ფაქტობრივი ცოდნის გადმოცემა საკითხთან მიმართებაში, ასევე კონკრეტული ლექსიკური და გრამატიკული ერთეულების სწორად გამოყენება, და ლოგიკური კაშირების და დამოკიდებულებების გამოხატვაც, თუ რატომ ფიქრობენ ასე. აღნიშნული ტიპის დავალებები უზრუნველყოფს იმას, რომ სასწავლო პროცესი ცოდნის სამივე კატეგორიაზე იყოს ორიენტირებული. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თავის თავში მოიცავს ისეთ საკითხებს, ისეთ სამიზნე ცნებებს თუ ქვეცნებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას. კომპლექსური ბუნების დავალებების საშუალებით მოიაზრებს დაწესებულება მოსწავლის მიერ საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად და მიზნობრივად ახალი ცოდნისა და უნარების გამოყენებას. მსგავს დავალებეზე მუშაობის დროს კი, მათში გააქტიურდება სხვადასხვა კომპონენტური უნარი, გადმოსცემენ საკუთარ გამოცდილებას, გააკეთებენ შედარებას, მოახდენენ ფაქტების ანალიზს, გაიგებენ თანატოლთა მოსაზრებას საკითხის ირგვლივ და სხვ. მაგალითად, გასაუბრებისას დადგინდა, რომ ამ მიზნით გეგმავს მიმდინარე სასწავლო წლის ოქტომბრის თვიდან უცხოური ენების კათედრა ინგლისური ენის კლუბის ამოქმედებას (წარმოდგენილია კლუბის დებულება), რომლის ფარგლებშიც

მოსწავლეები დამატებით დაკავდებიან საინტერესო აქტივობებით და პედაგოგები შეეცდებიან ხელი შეუწყონ სწორედ ნასწავლი მასალის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას რეალურ ცხოვრებაში სამიზნე ენის მეტად ეფექტიანად გამოყენების მიზნით. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- **საგნობრივი კურიკულუმები**
- **პროექტები**

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებსა და სწავლის მექანიზმს შორის. საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია ყოველდღიური სასწავლო პროცესის კავშირი გრძელვადიან მიზნებთან. შერჩეული თემების ფარგლებში მუშავდება საფეხურის სამიზნე ცნებები. კომპლექსური დავალებების იდეებში იკვეთება სამიზნე ცნებისა და ქვეცნებების ლოგიკური მიმართება. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად, რასაც ადასტურებს კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. ყველა საგანში თემაში ყველა სამიზნე ცნება კომპლექსურით არ მუშავდება, თუმცა მასწავლებლებს აქვთ ხედვა, თუ როგორ დამუშავდება კომპლექსურის გარეშე დარჩენილი სამიზნე ცნებები. როგორც გასაუბრებიდან გაირკვა, მასწავლებლები ამისათვის გამოიყენებენ სხვადასხვა სახის დავალებებს, მათ შორის შემაჯამებელს,

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

რჩევა: **ჩვენი საქართველოს საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში გაიწეროს ყველა სავალდებულო თემა, კურიკულუმის სრულყოფისათვის.**

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

საგნობრივ კურიკულუმებში კონტექსტები და საკითხები შერჩეულია მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების მიმართულებით. მაგ. მე და საზოგადოებაში კომპლექსურ დავალებებში წარმოჩენილია ოჯახი, სკოლა, მეგობრები, რაც მოსწავლეში ხელს უწყობს პიროვნულ განვითარებას, ასევე ჩვენი საქართველოს კურიკულუმში იკვეთება საქართველოს კუთხეებისათვის აქტუალური საკითხები. კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე, კლასტერიდან კონტექსტები შესაბამისობაშია მოყვანილი. გარდა ამისა, მასწავლებლები გასაუბრების დროს აღნიშნავდნენ, რომ სასკოლო პროექტების აქტივობები გააზრებულად იქნება მიმართული მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისაკენ. ასევე ხელისშემწყობ გარემოებად სადამრიგებლო პროგრამებსაც ასახელებდნენ. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

გააზრებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, ამიტომაც შეფასების სისტემა განმსაზღვრელთან ერთად განმავითარებელი შეფასებითაც აისახება, რაც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას, აძლევს მიმართულებას და ასწავლის გზებს შემდგომი წინსვლისათვის. საფეხურზე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმები ჰოლისტური განვითარების წინაპირობაა. რაც შეეხება განმსაზღვრელ შეფასებას(V-VIკლასები), მასწავლებლები ცდილობენ, სრულყოფაში მოიყვანონ რუბრიკები, რომ ყოველ თემაში შესაძლებელი გახდეს მოსწავლის უკვე მიღწეული ცოდნისა და ფუნქციური უნარების ზუსტი შეფასება. ასევე შერჩეული აქვთ სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტიც, განმავითარებელი შეფასებისათვის სკოლა ასევე იყენებს საკლასო აქტივობების შეფასებასაც, რითაც ნათლად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

შეფასების სისტემის სანდოობისა და ობიექტურობის შესაბამისობასთან გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა, რომელიც დაეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით გაწერილ შეფასების პრინციპებს. დაწყებით საფეხურზე შექმნილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც სწავლა-სწავლების აუცილებელი კომპონენტია. შეფასების რუბრიკები არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; რადგანაც მას იცნობენ მშობლები ,მოსწავლეები, საგნის მასწავლებლები და ადმინისტრაცია. კათედრის შეხვედრებისას მასწავლებლები გააკეთებენ თვითრეფლექსიებს, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშისა და გასაუბრების დროს მასწავლებელთა მხრიდან მზაობის გამოვლენით, ცხადი ხდება შეფასების სისტემის სრულყოფილებაში მოყვანა, შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

დოკუმენტაციში იკითხება, რომ სკოლა შეფასების სისტემის მექანიზმების განსაზღვრისას ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. სკოლის თვითშეფასებაში იკითხება და პედაგოგებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სკოლაში

შეფასების გამართულობის მიზნით არსებობს შიდა ვერიფიკაციის გამოცდილების პრაქტიკა. ეს ითვალისწინებს მოსწავლის შედეგების ანალიზს სწავლის პროცესის მიმდინარეობისას. აგრეთვე სემესტრისა და წლის განმავლობაში მოსწავლეთა მიერ დაგროვებული ცოდნისა და შესრულებული სამუშაოების შეფასებას, ასევე არაფორმალური აქტივობების ანალიზს მოსწავლის საბოლოო შეფასებისას. კომპლექსური დავალებების განხორციელებისას შედეგზე დაყრდნობით ხდება საბოლოო შეფასება, რომელიც განსაზღვრულია სპეციალური რუბრიკებით. წლის განმავლობაში პედაგოგები აკვირდებიან და აკეთებენ ჩანაწერებს მოსწავლეთა სასწავლო და შემოქმედებითი ჩართულობის შესახებ. სკოლამ წარმოადგინა ასევე ვერიფიკაციის მექანიზმების დოკუმენტი (ბრძანება # 2-38)., სადაც იკითხება, რომ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ახორციელებს შეფასების ვერიფიკაციას. ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი. სკოლას დირექტორის ბრძანებით გამოყოფილი ჰყავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი (ბრძანება # 2-47). ვერიფიკაცია მიმდინარეობს სამი მიმართულებით: ინსტრუმენტების ვერიფიკაცია, პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტში აღწერილია ამ სამივე მიმართულებით შეფასების პრინციპები. სკოლაში ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება სწავლის დაწყებიდან 6 თვეში ერთხელ და გრძელდება მაქსიმუმ 2 თვის განმავლობაში. სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის ჯგუფის დასკვნის ფორმა, რომლის განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას დასკვნაში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. დოკუმენტაციაში არ არის მოცემული მოსწავლის შედეგების ანალიზის და რეფლექსიის კონკრეტული მტკიცებულებები, თუმცა არის მზაობა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს ეს რჩევა გათვალისწინებულ იქნება. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მას შემდეგ რაც შეიცვალა მატერიალური ჟურნალი, სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი და შეფასების შესახებ ინფორმაცია ინახება ელექტრონულ ჟურნალში. განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების აღრიცხვა - შენახვა ხორციელდება კანონით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში. სკოლაში ინახება მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც კლასის დამრიგებლებს შეაქვთ მოსწავლეთა წლიური შეფასებები, სხვადასხვა ცნობები და ინფორმაცია ექსტერნის შესახებ. მათზე პასუხისმგებლობა ეკისრება საქმის მწარმოებელს. თუმცა დოკუმენტის შემუშავებას, სადაც გაწერილი იქნება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა არანაკლებ 3 წლის ვადით სკოლა სამომავლოდ გეგმავს. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

მტკიცებულებები:

- ვერიფიკაციის მექანიზმი (ბრძანება # 2-38).
- ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი (ბრძანება # 2-47).

- თვითშეფასება
- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

1. პედაგოგებთან ინტერვიუს გათვალისწინებითა და თვითშეფასების ფორმაზე დაყრდნობით, ნათელია, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის მხარდამჭერ და მიმღებლობის გარემოს. ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების, ინტერესებს, სურვილებს, შესაძლებლობებს და სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გეგმავს მრავალფეროვან სასაკოლო პროექტებს, სპორტულ ფესტივალებს და ღონისძიებებს არაფორმალური განათლების მიმართულებით, რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში პოზიტიური, თანამრომლობითი და მიმღებლობითი გარემოს უზრუნველსაყოფად. სწავლების მეთოდოლოგია თუ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლეზე და სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით ურთიერთობას. სკოლაში ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით და სპეც მასწავლებლის რეკომენდაციით მასწავლებლებს აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს უქმნის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. ეროვნულ სასწავლო გეგმაზე

დაყრდნობით და სპეც მასწავლებლის რეკომენდაციით შეიმუშავონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს შეუქმნის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. სამომავლოდ სკოლას აქვს მზაობა შეიმუშავოს ახალი, მოსწავლეების სკოლაში ინტეგრირების ეფექტური მექანიზმები. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

2. სოფელ ჩაისუბნის საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რომელშიც ასახულია მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემო. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ჩანს და მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც გამოიკვეთა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესის ცენტრში დგას თითოეული მოსწავლე და მათ მიერ მიღწეული შედეგი. რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. ეს აისახება დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში შეტანილი თემებში. დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით, პედაგოგებმა აღნიშნეს რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სასკოლო აქტივობებში, სპორტულ ფესტივალებსა და ოლიმპიადებში, პროექტებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებზეა მორგებული და უზრუნველყოფს სამომავლოდაც მათში სასკოლო საგნების მიმართ ინტერესის გაღვივებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

3.კოლეგების მიერ ინტერვიუს შემდეგ ნათელია და სკოლის თვითშეფასების ფორმაში სკოლის სასწავლო პროცესის აღწერისას, ჩანს, რომ სკოლაში აქვთ გამოცდილება პედაგოგების ერთმანეთთან და სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობისა. სკოლის თანამშრომლები თავისი შესაძლებლობისა და კვალიფიკაციის ფარგლებში ერთობლივად ზრუნავენ მოსწავლეების სწავლის შედეგებზე. სკოლაში დამკვიდრებულია კურიკულუმის კათედრებზე ერთობლივად შემუშავების კულტურა. თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას ხელს უწყობს კომპლექსური დავალებების ერთობლივი დაგეგმვა, სასწავლო და სასკოლო პროექტები. კოლეგები ასევე ერთობლივად თანხმდებიან ძირითად და დამხმარე რესურსებზე და შეფასების ინსტრუმენტებზე. მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესისთვის კარგი პრაქტიკაა ინტეგრირებული გაკვეთილებიც. თანშრომლობითი კულტურის განსავითარებლად ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, კლასის დამრიგებელს და მოსწავლეებს შორის შეხედულებეისა და გამოცდილების გაზიარება. სასკოლო საზოგადოებას და სამეურვეო საბჭოს აქვთ საშუალება გაეცნონ სკოლის სასწავლო პროცესში შემოთავაზებულ ინოვაციებს, ახალ მეთოდებს. აქვთ ინფორმაცია დაწყებით საფეხურზე ჩატარებული სპორტულ აქტივობების და ფესტივალების, სასწავლო პროექტების შესახებ. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

4.. როგორც ინტერვიუდან იკეთება და სკოლის თვითგანვითარების გეგმაც მოწმობს, სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე იგეგმება მოსწავლეებისათვის სასურველი და საჭირო აქტივობები, სადაც გათვალისწინებულია

მათი შესაძლებლობები, ინტერესები და სკოლის საჭიროება, სკოლის ინფრასტრუქტურისა და მოსწავლეთა საჭიროებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე იგეგმება სპორტული ფესტივალებიც დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის. ეს ყველაფერი მნიშვნელოვანი ფაქტორია შემდგომში სკოლაში პოზიტიური კლიმატის შესაქმნელად. სკოლაში შექმნილია ისეთი სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეები თავს გრძნობენ უსაფრთხოდ და დაცულად. ფიზიკური უსაფრთხოების გარდა, სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებაზე. ამ საქმეში ჩართული არიან კლასის დამრიგებლები, საგნების პედაგოგები და დირექცია. ამას ემსახურება არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობები: ექსკურსიები მუზეუმებში, ისტორიისა და კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლების გაცნობა, სახელოვნებო ღონისძიებები და სპორტული ფესტივალები, ინტელექტუალური ჩემპიონატები და კონკურსები, ფილმების ჩვენება, სხვადასხვა პროექტებში ჩართვა, კლუბური საქმიანობა და ა.შ. მათში ჩართულობით, მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ სხვადასხვა უნარის აღმოჩენის, საკუთარ ძალებში დარწმუნების, მეგობრების შეძენისა და თანატოლებთან ურთიერთობისა. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

მტკიცებულებები:

- თვითშეფასების დოკუმენტი
- კათედრის სხდომის ოქმი
- კურიკულუმის მეთოდოლოგია
- შემუშავებული კურიკულუმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

1. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლაში დაწყებით საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე შემავალ საგებში- სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში შემუშვებულია განმავითარებელი, განმსაზღვრელი (მე-5, მე-6 კლ.) შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება, ძირითადად, მოკლევადიან სასწავლო მიზნებს. აგრეთვე, კათედრის მიერ წარმოდგენილია განმავითრებელი შეფასების ცხრილები. სკოლაში კარგად მუშაობს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმები, რის საშუალებითაც გამოკვეთილია მოსწავლეთა საჭიროებები. ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე იგეგმება მონიტორინგის სისტემის გაწერა- ახალ სასწავლო წელს დაგეგმილია ისეთი სასკოლო კურიკულუმის შემუშავება, რომელიც გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების განხორციელებაზე იქნება მიმართული. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები არის იმის მტკიცებულება რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და დახმარებას. პედაგოგებს გათვითცნობიერებული აქვთ, რომ ყველა მოსწავლის წარმატებაზე დაკვირვებისთვის აუცილებელია კარგად იცნობდენ მოსწავლეთა ემოციურ თუ სოციალურ მდგომარეობას, ამიტომ აქტიურად თანამშრომლობენ კლასის დამრგიგებლებთან. აღსანიშნავია, რომ კათედრის წევრები ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე, ანხორციელებენ შიდა მონიტორინგს და ერთმანეთს სთავაზობენ განვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებს, რაც ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავენ სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ მონიტორინგისა და შეფასების მთავარი მიზანი იქნება არა შეცდომების აღმოჩენა, არამედ შეცდომებზე სწავლა. სკოლაში შეფასების გამართულობის მიზნით არსებობს შიდა ვერიფიკაციის გამოცდილების პრაქტიკა. ეს ითვალისწინებს მოსწავლის შედეგების ანალიზს სწავლის პროცესის მიმდინარეობისას. აგრეთვე, სემესტრისა და წლის განმავლობაში მოსწავლეთა მიერ დაგროვებული ცოდნისა და შესრულებული სამუშაოების შეფასებას. კომპლექსური დავალებების განხორციელებისას შედეგზე დაყრდნობით ხდება საბოლოო შეფასება, რომელიც განსაზღვრულია სპეციალური რუბრიკებით. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

მტკიცებულებები:

- თვითშეფასების დოკუმენტი
- სასკოლო საზოგადოებსათან ინტერვიუ

- კათედრის სხდომის ოქმი
- კურიკულუმის მეთოდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

მოსწავლეთა შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები, მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით; სკოლა ახორციელებს შეფასების სხვადასხვა ტიპებს: განმავითარებელი და განმსაზღვრელი. წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები. შეფასების ჰოლისტური ხასიათი გულისხმობს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. ინტერვიურების დროს მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლის პრობლემის გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია, ეს ინფორმაცია მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან კი ჩანს, რომ მოსწავლეების შეფასება ხორციელდება როგორც ფაქტობრივი და პროცედურული, ასევე პირობისეული ცოდნის გათვალისწინებით. ამის დასტურია კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, რომელთა შესრულებაც მოითხოვს სამივე კატეგორიის ცოდნას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

მოსწავლეთა შფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიურების პროცესში კათედრის წევრები საუბრობდნენ უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებების შესახებ, ასევე, არაფორმალური განათლების კუთხით მათ გამოცდილებაზე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ სრული სურათის მისაღებად მოსწავლეებზე დაკვირვება მიმდინარეობს როგორც სასკოლო ისე არასასკოლო გარემოში (ექსკურსიები, შემეცნებითი ღონისძიებები), სწავლობენ მათ გარემოს ოჯახში, თემში, რათა გაირკვეს, თუ რა ახდენს გავლენას მოსწავლის პროდუქტიულობაზე. შესაბამისად ხდება მოსწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასება. ნებისმიერი ტიპის დავალება (წერითი, ზეპირი, ექსპერიმენტი, ნამუშევარი (მაგ. ნახატი, ესე და სხვ.), რასაც მოსწავლე სახლში ამზადებს საშინაო დავალების კომპონენტით ფასდება. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეულ მასწავლებელს შემუშავებული აქვს სხვადასხვა

აქტივობის ინდივიდუალური შეფასების სქემები. წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების ტიპები და კრიტერიუმები. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შეფასებისას მონაცემთა შეგროვებისათვის, მიმართავენ მოსწავლეებზე დაკვირვებას, კლასის საათზე მოსწავლეთა გამოკითხვას, მშობელთა კრებებზე პრობლემური საკითხების განხილვას, ხდება მონაცემების გაანალიზება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ შეაფსებას. სკოლა გეგმავს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ მოახდინოს მოსწავლეთა დიაგნოსტირება, რაც გულისხმობს კომპლექსური დავალებების დანერგვის პროცესში მოსწავლეებზე დაკვირვებას და ამ დაკვირვების შედეგების საფუძველზე მიღებული შედეგების გაანალიზებით კი ახალი სასწავლო წლისთვის შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმიდან ჩანს, რომ სტანდარტის მოთხოვნათა შესასრულებელად აუცილებელია შემაჯამებელი დავალების კომპონენტში კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (პროექტის მომზადება, ესეს დაწერა, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის მასწავლებლები გეგმავენ, შეიმუშავონ მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სკოლას აქვს გამოცდილება შეფასება მოახდინოს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, კერძოდ, მასწავლებლები და დამრიგებელი აანალიზებენ მოსწავლის აკადემიურ და ფუნქციურ უნარებს და აკვირდებიან რა გარემო ფაქტორები (ოჯახი, ტრადიცია, თემი, ფასეულობები და სხვა) ახდენს გავლენას შედეგზე. სკოლა სამ კომპონენტზე დაყრდნობით ახორციელებს მოსწავლეთა შეფასებას, რაც გულისხმობს როგორც საკლასო და საშინაო დავალების კომპონენტებს, ასევე შემაჯამებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აღწერს მოსწავლეთა განვითარების დინამიკას. ხორციელდება აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირება, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირება და ა. შ.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

1.ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე დაწყებით საფეხურზე მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები. სკოლაში, საჭიროებიდან გამომდინარე, შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი; კათედრის სამუშაო შეხვედრებზე მასწავლებლები განიხილავენ თემატურ გეგმებს, შეფასების კრიტერიუმებს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და გადამუშავების საფუძველზე ცდილობენ შექმნან საუკეთესო მოდელები. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ, 2023-2024 სასწ. წლისთვის წინარე გამოცდილებისა და შეფასებების საფუძველზე გეგმავენ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

მტკიცებულებები:

- მასწავლებლებთან ინტერიუ
- თვითშეფასების დოკუმენტი
- კურიკულუმის მეთოდოლოგია
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	**+ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

საბაზო საფეხური

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება -

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

1.სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის საჯარო სკოლაში შემუშავდა საბაზო საფეხურის კურიკულუმების მეთოდოლოგია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესებისა და შეხედულებების გათვალისწინებით. ინტერესის გათვალისწინება მოხდა ზეპირი გამოკითხვებით, კომუნიკაციით, სკოლის საჭიროებების კვლევით. სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია, რომელიც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის

მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს. კურიკულუმი წარმოაჩენს გზას, რომელსაც სკოლა სთავაზობს მოსწავლეს პიროვნული განვითარებისათვის. კურიკულუმი ერთი მხრივ წარმოაჩენს სკოლის ტრადიციებსა და პრიორიტეტებს, მეორე მხრივ უზრუნველყოფს შეთანხმებას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. კურიკულუმის დანერგვა წარმატებით მიმდინარეობს, რადგან იზიარებს და მონაწილეობს მის განვითარებაში მასწავლებლები, დირექცია და მშობლები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2.კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგიაში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები, რომელიც სასწავლო პროცესის უწყვეტი პროცედურაა. ინტერესის გათვალისწინება ხდება ზეპირი გამოკითხვებით, კომუნიკაციით, სკოლის საჭიროებების კვლევით, გამოცდილების გაზიარებით სასკოლო და რეგიონულ დონეზე. თანხმდებიან შემდეგ საკითხებზე: შეარჩევენ თემებს/საკითხებს/ქვესაკითხებს სტანდარტით განსაზრვრული შედეგების მისაღწევად. კურიკულუმში ცვლილება შესაძლებელია მოახდინონ ნებისმიერ დროს, როცა ამის საჭიროებას დაინახავენ.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3.კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. სასკოლო კურიკულუმის შემუშავება იწყება წინა წლის კურიკულუმის დანერგვის პარალელურად მისი (ე.ი. წინა წლის კურიკულუმის) განხორციელების პროცესის ანალიზის და შეფასების საფუძველზე. შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლისათვის სასწავლო პროგრამების და მისი რეალიზებისათვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. შემუშავებაში კათედრის ყველა წევრი ერთვება და თანხმდებიან შემდეგ საკითხებზე: შეარჩევენ თემებს/საკითხებს/ქვესაკითხებს სტანდარტით განსაზრვრული შედეგების მისაღწევად; შეარჩევენ კომპლექსურ დავალებებს, რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისათვის. ასევე შეარჩევენ მექანიზმებს, რომლითაც შეისწავლიან სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მიმდინარეობას. კურიკულუმს გეგმავს მთელი კათედრა და არა რომელიმე კათედრის წევრი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4.სკოლა გამოცდილების შესაბამისად გეგმავს მომავალი წლის კურიკულუმს. მომავლის გეგმებს უზიარებენ კოლეგებს, მშობლებს. გაზიარებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა საშუალებები. მაგალითად ელექტრონული ფოსტა, სკოლის სოციალური გვერდი, ელექტრონული ჟურნალი და სხვა. სწორად დაგეგმილი კურიკულუმის შედეგია მოსწავლის სასწავლო პროცესში მაღალი ჩართულობა და მიღწეული შედეგები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ ბრძანება
- კურიკულუმის ჩარჩო 2023-24 ს/წ.
- სასკოლო სასწავლო გეგმა

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

1. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ამოსავალია თითოეული მოსწავლის პიროვნული განვითარება. კურიკულუმებში დაგეგმილი აქვთ კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას და, ზოგადად, პიროვნულ განვითარებას ემსახურება. ვთქვათ, ქართულში უნდა შექმნან მრავალფეროვანი პროდუქტი _ რადიორეპორტაჟი, დეტექტიური ჟანრის ნაწარმოები, ჩანაწერების დღიური და ა.შ., რაც მოსწავლეთათვის საინტერესო გამოცდილება და გამოწვევაა. მათ შექმნას ძალისხმევა სჭირდება _ წარმატება გარანტირებული არ არის, თუ მოსწავლემ ძალისხმევა არ გაიღო. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა შემოქმედებით უნარებს ავითარებს, რადგან შემეცნებით-შემოქმედებით პროდუქტს ქმნიან და პროცესში გამოთქვამენ ვარაუდებს, მოსაზრებებს. შექმნის პროცესი მათ ემოციურ კმაყოფილებას ანიჭებს. სასწავლო პროცესში კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დაგეგმვა ნიშნავს, რომ წახალისებულია მოსწავლის რეფლექსია, რადგან გასიტყვების პროცესი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის განუყოფელი ნაწილია. ნამუშევრის პრეზენტაციისას მოსწავლეები საუბრობენ იმაზე, რა გამოუვიდათ კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რომელმაც წარმატება მოიტანა, რა ვერ შეძლეს, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა წარმატების გზაზე. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი წინარე გამოცდილების გააქტიურებასაც ითვალისწინებს, რადგან ნაცნობ გამოცდილებაზე იგება ახალი ცოდნა. წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმებიც სასწავლო პროცესის თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებულობას

ადასტურებს. სკოლის თვითშეფასების ფორმაში ასახულია, როგორ იკვლევენ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნას, საჭიროებებს და განსაზღვრავენ შუალედურ მიზნებს. შერჩეული აქვთ სადიაგნოსტიკო ტესტირების ინსტრუმენტი.

სკოლაში წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები და გათვალისწინებულია მათი ინტერესები. ვთქვათ, სკოლაში ქართულის, გეოგრაფიისა და ისტორიის კათედრებმა დაგეგმეს და განახორციელეს ინტეგრირებული გასვლითი პროექტ-გაკვეთილი უდაბნოს მამათა მონასტერში. პროექტი განხორციელდა მას შემდეგ, რაც მოსწავლეებმა შეიწავლეს ქართულში ი. ჭავჭავაძის ,,განდეგილი" (მე-11 კლასი), „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" (მე-10 კლასი) და ა.წერეთლის „თორნიკე ერისთავი" (მე-9 კლასი), ხოლო ისტორიაში ისწავლეს მე-10 საუკუნე, გეოგრაფიაში - დრო და სივრცე. სამივე კათედრის გუნდური მუშაობით, მოსწავლეთ აქტიური ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით განხორციელდა პროექტი, რომლის დასრულების შემდეგ მოსწავლეებმა დაწერეს უკუკავშირი, პედაგოგებმა - რეფლექსია და მოეწყო პრეზენტაცია. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. საგნობრივ კურიკულუმებში იკვეთება სასწავლო პროცესის სამიზნე ცნებებზე ორიენტირებულობა. კურიკულუმებში განსაზღვრულია თემები, საგნობრივი საკითხები, ძირითადი და დამატებითი რესურსები, დავალებები, შეფასების ინსტრუმენტები, რომლებიც სამიზნე ნიშნულამდე _ გრძელვადიან მიზნებამდე _ მისვლის საშუალებებია. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ გლობალურ-ფუნქციური უნარები აღქმულია პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლად და არა სასწავლო მიზნებად. კურიკულუმებში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების საშუალებას ქმნის, რადგან დაგეგმილი აქვთ მრავალფეროვანი პროდუქტის შექმნა. შემოქმედებით-შემეცნებითი პროდუქტის შექმნისას მოსწავლეებს შემოქმედებითობა სჭირდებათ. ასევე, უწევთ კრიტიკულად იაზროვნონ _ ფაქტები გააანალიზონ, იდეების გენერირება და ორგანიზება შეძლონ, მოსაზრებები დაიცვან, შეადარონ, დასკვნები გამოიტანონ, არგუმენტები შეაფასონ და პრობლემები გადაჭრან. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა ხშირად გუნდურ მუშაობასაც მოითხოვს, რაც მათ თანამშრომლობის უნარებს უვითარებს. რეფლექსია მოსწავლეებს ეხმარება თვითცნობიერების განვითარებაში _ მათ ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. როგორც სკოლის თვითშეფასების ფორმაში აღნიშნავენ, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის, კოლაბორაციის, მოქალაქეობის, ნებელობის უნარების გააქტიურებას ემსახურება სადამრიგებლო პროგრამები და სხვადასხვა აქტივობა, მაგ. კითხვის საათი, საკლუბო მუშაობა (სკოლაში ფუნქციონირებს გეოგრაფთა კლუბი), სხვადასხვა საწარმოში, მუზეუმში, სახლ-მუზეუმში, ისტორიულ ადგილებში ექსკურსიები. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღრმისეული სწავლება, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა რეალიზებულია სკოლაში. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმის დაგეგმვისა თუ განვითარების პროცესში ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს, სწავლის პოტენციალს, სტილს, მოტივაციასა და პირად ინტერესებს. ამის მიხედვით შეიტანეს ცვლილებები საგნობრივ კურიკულუმებში _ სასწავლო რესურსები და დავალების პირობა მოარგეს მოსწავლეთა საჭიროებებს. გააზრებულია შეფასების დიაგნოსტიკური დანიშნულება _ შეფასებისას მიღებულ მონაცემებს

მასწავლებლები იყენებენ მომდევნო ინტერვენციებისთვის, მოსწავლეებს შეფასება აკვალიანებს, როგორ გააუმჯობესონ სწავლის პროცესი. გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთა შესაძლებლობები და ამის მიხედვით შედგენილი აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. აღნიშნეს, რომ მასწავლებლები სხვადასხვა ტრენინგზე მიღებულ ცოდნას დიფერენცირებულ მიდგომებთან დაკავშირებით აქტიურად ნერგავენ საკლასო სივრცეში. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. სწავლება და შეფასება განუყოფელ პროცესად არის აღქმული. შექმნილი აქვთ როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებს მიემართება. განმსაზღვრელ შეფასებას მიმართავენ გარკვეული პროცესის (თემის, საკითხის...) შესაჯამებლად, შედეგების აღსაწერად, განმავითარებელ შეფასებას კი _ თითოეული მოსწავლის განვითარების პროცესის გასარკვევად და პროცესშივე სათანადო ინტერვენციების განსახორციელებლად. ორივე შემთხვევაში შეფასება სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, აქტიურად რთავენ მოსწავლეებს როგორც კრიტერიუმების განხილვის პროცესში, ისე თვითშეფასებისა თუ ურთიერთშეფასების დროს, რადგან ეს ემსახურება მოსწავლეთა თვითცნობიერების განვოთარებას. მოსწავლეებს უადვილდებათ როგორც პირობის გაგება, სასწავლო მიზნების განსაზღვრა, ისე იმის გარკვევა, რა აქვთ დასაძლევი, გასაუმჯობესებელი და რა გზით შეიძლება ამის გაკეთება. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

5. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, კურიკულუმების შემუშავებისას გაითვალისწინეს წარმატებული გამოცდილება და გამოწვევები და ასახეს კურიკულუმებში. გააანალიზეს მოსწავლეთა ნამუშევრები, კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესი, ზოგადად, მთელი სასწავლო პროცესი და კათედრაზე განიხილეს. სკოლის თვითშეფასების ფორმაში აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას სხვადასხვა წყაროს და მეთოდს იყენებენ. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრია წყარო, მონაცემებს კი სხვადასხვა მეთოდით _ დაკვირვებით, გამოკითხვით მოიპოვებენ. მიღებული მონაცემების დამუშავების საფუძველზე ხდება მიღწევის დონის განსაზღვრა, წინარე გამოცდილების შეფასება. შერჩეული აქვთ სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტიც, რომელიც მოსწავლეთა წინარე გამოცდილების განსაზღვრის შესაძლებლობას ქმნის. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

მტკიცებულებები:

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- სკოლის თვითშეფასების ფორმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

წარმოდგენილი კურიკულუმები კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომ პროექტულ დავალებებს ეფუძნება, შესაბამისად მოსწავლე გარანტირებულად არის შემოქედებით პროცესში ჩართული. იგი მიმართულია ისეთ აქტივობებზე, რომ მოსწავლემ კეთების პროცესში შეიძინოს ცოდნა და საბოლოოდ ისეთ პროდუქტს ქმნიან, რომელიც მოიაზრებს ინდივიდუალურ შემოქმედებითი მუშაობის შედეგს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა გამოთქვეს სურვილი და მზაობა, რომ აქტიური სწავლებისა და მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გასაძლიერებლად, კიდევ უფრო აქტიურად ჩართავენ მოსწავლეებს მომავალში სხვადასხვა მრავალფეროვან აქტივობებში და წაახალისებენ მათ ინიციატივებს, სადაც მათ შეეძლებათ შემოქმედებითი უნარები კიდევ უფრო განავითარონ.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

კურიკულუმებში თემები ისეა წარმოდგენილი, რომ მოსწავლემ შეძლოს ცოდნის აგება წინარე გამოცდილებაზე დაფუძნებით. ასევე შუალედური მიზნები კომპლექსური დავავლებების სახით იმგვარად არის დაგეგმილი, რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას, რაც უზრუნველყოფს ახალი ცოდნის თანდათანობით და მოსწავლისთვის საინტერესო კონტექსტში კონსტრუირების შესაძლებლობას. წინარე ცოდნის გააქტიურებაში მათ ეხმარებათ შეკითხვები და სხვადასხვა აქტივობები. მოსწავლეებს ეძლევათ იმის შესაძლებლობა, რომ ახალი თემის ფარგლებში შესასწავლი მასალა დაუკავშირონ უკვე შესწავლილი საკითხებიდან მიღებულ ინფორმაციასა და ფაქტობრივ ცოდნას, სწავლა სწავლების პროცესში ჩამოყალიბებულ უნარ - ჩვევებს. მაგალითად უცხოურ ენაში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობიდან ჩანს, რომ აღნიშნული დავალებები ეფუძნება იმ წინარე ფაქტობრივ ცოდნას, ენობრივ საშუალებებს (ლექსიკას,

გრამატიკა), სამეტყველო ქმედებას, რომელიც მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტს წარმოადგენს, კომპლექსური დავალების პირობა კი ისეა წარმოდგენილი, რომ მოსწავლეს უკვე არსებული ცოდნის საინტერესოდ გამოყენების შესაძლებლობას აძლევს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

წარმოდგენილ კურიკულუმებში შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები თავის თავში მოიცავს მეტაკოგნიტურ კითხვებს, რომლებიც აფიქრებს მოსწავლეებს, თუ როგორ წარმართონ სწავლის პროცესი ეფექტიანად. გარდა ამისა, მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ისინი საგაკვეთილო პროცესში აქცენტს აკეთებენ ასევე მოსწავლეთა მიერ ურთიერთშფასებასა და შეფასებაზე, რაც სწორედ ამ უნარების განვითარებას ემსახურება. მაგალითად უცხოური ენის კურიკულუმი სწავლა-სწავლების პროცესში ითვალისწინებს ასევე სხვადასხვა სტრატეგიების გააქტიურებას (კითხვის, მოსმენის, ლაპარაკი და წერის

სტრატეგიები), რომლებზე მუშაობაც მოსწავლეს განუვითრებს უნარებს იცნობდეს და ირჩევდეს საჭირო სტრატეგიებს და თავად მართავდეს სწავლის პროცესის გარკვეულ ეტაპებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

წარმოდგენილი შუალედური მიზნები/ კომპლექსური დავალებების პირობები ისეა გაწერილი, რომ მოახდენს მოსწავლეების ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზებას. ისინი არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას დაეუფლებიან, მას პრაქტიკაში გამოიყენებენ, არამედ ექნებათ უნარი მოახდინონ მისი ანალიზი, თუ სად და როგორ გამოიყენოს ის. მაგალითად საბაზო საფეხურის ინგლისური ენის მეცხრე კლასის კურიკულუმში წარმოდგენილია ისეთი კომპლექსური დავალება, სადაც მოსწავლეებმა უნდა დაწერონ სტატია სასკოლო ჟურნალისთვის, სადაც ისაუბრენ მშობლიური და უცხო ქვეყნის ფესტივალის/დღესასწაულის შესახებ და მათ შორის არსებულ მგავსებებსა და განსხვავებებზე, სოციოკულტურულ თავისებურებებზე. ამ დავალებაზე მუშაობისთვის მოსწავლეებს დასჭირდებათ როგორც ფაქტობრივი ცოდნა საკითხთან მიმართებაში, ასევე კონკრეტული ლექსიკური და გრამატიკული ერთეულების სწორად გამოყენება და იმის ანალიზი და შედარება, თუ რა განსხვავებები და მსგავსებები არსებობს კულტურათა შორის თემასთან მიმართებაში. აღნიშნული ტიპის დავალებები უზრუნველყოფს იმას, რომ სასწავლო პროცესი ცოდნის სამივე კატეგორიაზე იყოს ორიენტირებული.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თავის თავში მოიცავს ისეთ საკითხებს, ისეთ სამიზნე ცნებებს თუ ქვეცნებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას. კომპლექსური ბუნების დავალებების საშუალებით მოიაზრებს დაწესებულება მოსწავლის მიერ საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად და მიზნობრივად ახალი

ცოდნისა და უნარების გამოყენებას. მსგავს დავალებეზე მუშაობის დროს კი, მათში გააქტიურდება სხვადასხვა კომპონენტური უნარი, გადმოსცემენ საკუთარ გამოცდილებას, გააკეთებენ შედარებას, მოახდენენ ფაქტების ანალიზს, გაიგებენ თანატოლთა მოსაზრებას საკითხის ირგვლივ და სხვ.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგნობრივი კურიკულუმები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კურიკულუმის ანალიზის მიხედვით, ერთი მხრივ, იკითხება, რომ სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალედებული თემები, თემაში გაწერილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები. მეორე მხრივ, იგი ამოიცნობა რეალიზებულ კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმებსა და კომპლექსური დავალებების რეფლექსიებში, რაც მკაფიოა გასიტყვებისას და მასში კარგად ჩანს მოსწავლეების კრიტიკული აზროვნება, მრავალფეროვნება, კრეატიულობა. საგნობრივ კურიკულუმებში კვლავ გათვალისწინებული აქვს გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები, რომლებიც ეფუძნება საგნობრივ სტანდარტს. საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოში წარმოდგენილი ინფორმაციიდან გამომდინარე, ყველა სამიზნე ცნების დამუშავება თემის ფარგლებში კომპლექსური დავალებებით ყველა საგანში არ ხდება, თუმცა გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ ხედვა, თუ როგორ დაამუშავონ კომპლექსურს მიმღმა დარჩენილი სამიზნე ცნებები. ამისათვის ისინი გამოიყენებენ სხვადასხვა სახის დავალებებს, მათ შორის შემაჯამებელს, რაც ცხადყოფს, რომ მისი მკვიდრი წარმოდგენების გააზრებაზეა მორგებული შესასწავლი საკითხები და ქვეცნებების დაჯგუფება ქვესაკითხებთან კომპლექსურ დავალებაში აისახება. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

მოსწავლის შემეცნების (აზროვნების, კოგნიციის) განვითარებასთან ერთად ხდება სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაც. ფსიქო-სოციალური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. სოციალური განვითარება განაპირობებს ბავშვის უნარს, დაამყაროს ურთიერთობა გარემოსთან და გარშემომყოფებთან. კათედრის მიერ განსაზღვრული

კომლექსური დავალების შესრულებით იქმნება შესაძლებლობა მოსწავლეებს დაეხმარონ გამოავლინონ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, ხოლო გუნდური მუშაობით კი მოსწავლეებში პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას უწყობენ ხელს. ასევე მოსწავლეებში უზრუნველყოფენ გაუმკლავდნენ სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს, პატივი სცენ სხვების აზრს და მართონ საკუთარი ემოციები. განვითრების სტადიებზე მოსწავლე აცნობიერებს, „მე“ კონცეფციას, უმაღლდება თვითშეფასება, თვითგამოხატვა და ადაპტაციური სოციალური ქცევა. აღნიშნულის განვითარებას ხელს უწყობს სკოლაში, არაფორმალური განათლება და პროექტული სწავლება. სასწავლო პროექტები ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის ზემოთ აღნიშნული უნარების, ხოლო კათედრის მიერ შერჩეული საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო სოციალურ განვითარებას. საგნობრივ კურიკულუმებში სავალდებულო თემებში მოცემულია ძირითადი საკითხები, რომელიც კომპლექსური დავალების სახით მუშავდება, რომლის ფარგლებშც ქმნიან პროდუქტს. კლასის საათის დროს განხილული თემებიც ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო- სოციალურ განვითარებას, რადგან ისინი ეხება სწორედ ემპათიის, ბულინგის, ჯანსაღი ცხოვრების საკითხებს, რაც მოსწავლის პიროვნული და ფსიქო–სოციალური განვითარების საფუძველია. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

გააზრებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, ამიტომაც შეფასების სისტემა განმსაზღვრელთან ერთად განმავითარებელი შეფასებითაც აისახება, რაც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას, აძლევს მიმართულებას და ასწავლის გზებს შემდგომი წინსვლისათვის. წარმოდგენილი კურიკულუმები სასწავლო პროცესზე ორიენტირებულია და ჩანს, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. წარმოდგენილ დოკუმენტებში იკვეთება, რომ შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და ითვალისწინებს მოსწავლის ჩართულობასაც სასწავლო პროცესში. გასაუბრების შედეგების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად, განმავითარებელი შეფასების სახით, კათედრაზე განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. გამოიკვეთა ასევე, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკურიდა ფსიქო-სოციალური) მიხედვით, ასევე შერჩეული აქვთ სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტიც, განმავითარებელი შეფასებისათვის კათედრა ასევე იყენებს საკლასო აქტივობების მრავალფეროვან შეფასებასაც.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

შეფასების სისტემის სანდოობისა და ობიექტურობის შესაბამისობასთან გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა, რომელიც დაეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით გაწერილ შეფასების პრინციპებს. დოკუმენტაცია ადასტურებს და გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელებს სიღმისეულად აქვთ გააზრებული, რომ შეფასების სისტემის

ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. განმავითარებელი და განმაზღვრელი შეფასების რუბრიკები, მასწავლებლისა და მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკები, საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, რომ იცოდნენ თუ როგორ ფასდება მათი ცოდნა. ამას გარდა რუბრიკა ცხადყოფს, რომ ფასდება მხოლოდ ის, რისი შეფასებაც მიზნობრივადაა განზრახული, რაც შეფასების სისტემას კიდევ უფრო ვალიდურს, ობიექტურს, გამჭირვალეს, სანდოსა და ობიექტურს ხდის. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშისა და გასაუბრების დროს მასწავლებელთა მხრიდან მზაობის გამოვლენით, ცხადი ხდება შეფასების სისტემის სრულყოფილებაში მოყვანა. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

დოკუმენტაციში იკითხება, რომ სკოლა შეფასების სისტემის მექანიზმების განსაზღვრისას ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. სკოლის თვითშეფასებაში იკითხება და პედაგოგებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ. სკოლაში შეფასების გამართულობის მიზნით არსებობს შიდა ვერიფიკაციის გამოცდილების პრაქტიკა. ეს ითვალისწინებს მოსწავლის შედეგების ანალიზს სწავლის პროცესის მიმდინარეობისას. აგრეთვე სემესტრისა და წლის განმავლობაში მოსწავლეთა მიერ დაგროვებული ცოდნისა და შესრულებული სამუშაოების შეფასებას, ასევე არაფორმალური აქტივობების ანალიზს მოსწავლის საბოლოო შეფასებისას. კომპლექსური დავალებების განხორციელებისას შედეგზე დაყრდნობით ხდება საბოლოო შეფასება, რომელიც განსაზღვრულია სპეციალური რუბრიკებით. წლის განმავლობაში პედაგოგები აკვირდებიან და აკეთებენ ჩანაწერებს მოსწავლეთა სასწავლო და შემოქმედებითი ჩართულობის შესახებ. სკოლამ წარმოადგინა ასევე ვერიფიკაციის მექანიზმების დოკუმენტი (ბრძანება # 2-38). სადაც იკითხება, რომ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ახორციელებს შეფასების ვერიფიკაციას. ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი. სკოლას დირექტორის ბრძანებით გამოყოფილი ჰყავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი (ბრძანება # 2-47). ვერიფიკაცია მიმდინარეობს სამი მიმართულებით: ინსტრუმენტების ვერიფიკაცია, პროცესი და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტში აღწერილია ამ სამივე მიმართულებით შეფასების პრინციპები. სკოლაში ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება სწავლის დაწყებიდან 6 თვეში ერთხელ და გრძელდება მაქსიმუმ 2 თვის განმავლობაში. სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის ჯგუფის დასკვნის ფორმა, რომლის განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას დასკვნაში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. დოკუმენტაციაში არ არის მოცემული მოსწავლის შედეგების ანალიზის და რეფლექსიის კონკრეტული მტკიცებულებები, თუმცა არის მზაობა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს ეს რჩევა გათვალისწინებულ იქნება.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მას შემდეგ რაც შეიცვალა მატერიალური ჟურნალი, სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი და შეფასების შესახებ ინფორმაცია ინახება ელექტრონულ ჟურნალში. განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების აღრიცხვა - შენახვა ხორციელდება კანონით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში. სკოლაში ინახება მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც კლასის დამრიგებლებს შეაქვთ მოსწავლეთა წლიური შეფასებები, სხვადასხვა ცნობები და ინფორმაცია ექსტერნის შესახებ. მათზე პასუხისმგებლობა ეკისრება საქმის მწარმოებელს. თუმცა დოკუმენტის შემუშავებას, სადაც გაწერილი იქნება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა არანაკლებ 3 წლის ვადით სკოლა სამომავლოდ გეგმავს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

- ვერიფიკაციის მექანიზმი (ბრძანება # 2-38).
- ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი (ბრძანება # 2-47).
- თვითშეფასება
- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

1. პედაგოგებთან ინტერვიუს გათვალისწინებითა და თვითშეფასების ფორმაზე დაყრდნობით, ნათელია, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის მხარდამჭერ და მიმღებლობის გარემოს. ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების, ინტერესებს, სურვილებს, შესაძლებლობებს საჭიროებებს და სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გეგმავს მრავალფეროვან სასაკოლო პროექტებს,

სპორტულ ფესტივალებს და ღონისძიებებს არაფორმალური განათლების მიმართულებით, რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში პოზიტიური, თანამრომლობითი და მიმღებლობითი გარემოს უზრუნველსაყოფად. სწავლების მეთოდოლოგია თუ შეფასების სისტემაც ორიენტირებულია მოსწავლეზე და საბაზო საფეხურის სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით ურთიერთობას. საჭიროების შემთხვევაში სკოლას აქვს მზაობა ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით და სპეც მასწავლებლის რეკომენდაციით შეიმუშავონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს შეუქმნის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. საბაზო საფეხურზე საკმაოდ არია კომუნიკაცია მშობლებთან. მათთან საუბარი ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და შედეგების გაუმჯობესებას. კათედრებს აქვთ შეხვედრები, სადაც განიხილავენ არამარტო სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ, არამედ პროფესიული ზრდის მიმართულებით არსებულ პრობლემებს. სამომავლოდ სკოლას აქვს მზაობა შეიმუშავოს ახალი, მოსწავლეების სკოლაში ინტეგრირების ეფექტური მექანიზმები. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

2.სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რომელშიც აღწერილია მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემო. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ჩანს და მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც გამოიკვეთა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი მორგებულია მოსწავლის საჭიროებებზე და მათ მიერ მიღწეული შედეგზე. რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. ეს აისახება საბაზო საფეხურის კურიკულუმში შეტანილი თემების მიხედვით დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით, პედაგოგებმა აღნიშნეს რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სასკოლო აქტივობებში, სპორტულ ფესტივალებსა და ოლიმპიადებში, პროექტებში, არაფორმალური განათლების ხელისშემწყობი სხვა ღონისძიებებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებზეა მორგებული , ითვალისწინებს მათ ფიზიკურ შესაძლებლობებს, სკოლის ინფრასტრუქტურას და უზრუნველყოფს სამომავლოდაც მათში სასკოლო საგნების მიმართ ინტერესის გაღვივებას. მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესებია გათვალისწინებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისასაც. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. **სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

3..კოლეგების მიერ ინტერვიუს შემდეგ ნათელია და სკოლის თვითშეფასების ფორმის ნარატივში სკოლის სასწავლო პროცესის აღწერისას, ჩანს, რომ სკოლაში აქვთ გამოცდილება პედაგოგების ერთმანეთთან და სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობისა. სკოლის თანამშრომლები თავისი შესაძლებლობისა და კვალიფიკაციის ფარგლებში ერთობლივად ზრუნავენ მოსწავლეების სწავლის შედეგებზე. სკოლაში დამკვიდრებულია კურიკულუმის კათედრებზე ერთობლივად შემუშავების კულტურა. თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას ხელს უწყობს კომპლექსური დავალებების ერთობლივი დაგეგმვა და სასწავლო თუ სასკოლო პროექტები. დაგეგმვისას ითვალისწინებენ იმას, რომ სასწავლო პროცესი შეძლებადი და დაძლევადი იყოს მასწავლებლებისათვის, რათა ამ პროცესში არ დაზარალდეს მოსწავლის ინტერესი და საჭიროება. კოლეგები ერთად აკეთებენ და ირჩევენ

იმ თემებსა და საკითხებს, რაც შესაძლებლობას მისცემს მათ უკეთ და მეტად ეფექტურად მიაღწიონ სტანდარტით განსაზღვრული საფეხურის შედეგებს. კოლეგები ასევე ერთობლივად თანხმდებიან ძირითად და დამხმარე რესურსებზე და შეფასების ინსტრუმენტებზე. მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესისთვის კარგი პრაქტიკაა ინტეგრირებული გაკვეთილებიც. თანშრომლობითი კულტურის განსავითარებლად ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, კლასის დამრიგებელს და მოსწავლეებს შორის შეხედულებეისა და გამოცდილების გაზიარება. სასკოლო საზოგადოებას და სამეურვეო საბჭოს აქვთ საშუალება გაეცნონ სკოლის სასწავლო პროცესში შემოთავაზებულ ინოვაციებს, ახალ მეთოდებს. აქვთ ინფორმაცია საბაზო საფეხურზე ჩატარებული სპორტულ აქტივობების და ფესტივალების, სასწავლო პროექტების შესახებ. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. **უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

როგორც ინტერვიუდან იკეთება და სკოლის თვითგანვითარების გეგმაც მოწმობს, სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე იგეგმება მოსწავლეებისათვის სასურველი და საჭირო აქტივობები, სადაც გათვალისწინებულია მათი შესაძლებლობები, ინტერესები და სკოლის საჭიროება, სკოლის ინფრასტრუქტურისა და მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება სპორტული ფესტივალებიც, განსახორციელებელი კონფერენციები, არაფორმალური მიმართულებით ღონისძიებები საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის. ეს ყველაფერი მნიშვნელოვანი ფაქტორია შემდგომში სკოლაში პოზიტიური კლიმატის შესაქმნელად. სკოლაში შექმნილია ისეთი სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეები თავს გრძნობენ უსაფრთხოდ და დაცულად. ფიზიკური უსაფრთხოების გარდა, სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებაზე. ამ საქმეში ჩართული არიან კლასის დამრიგებლები, საგნების პედაგოგები და დირექცია. ამას ემსახურება არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობები: ექსკურსიები მუზეუმებში, ისტორიისა და კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლების გაცნობა, სახელოვნებო ღონისძიებები და სპორტული ფესტივალები, ინტელექტუალური ჩემპიონატები და კონკურსები, ფილმების ჩვენება, სხვადასხვა პროექტებში ჩართვა, კლუბური საქმიანობა და ა.შ. მათში ჩართულობით, მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ სხვადასხვა უნარის აღმოჩენის, საკუთარ ძალებში დარწმუნების, მეგობრების შეძენისა და თანატოლებთან ურთიერთობისა. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

მტკიცებულებები:

- თვითშეფასების ფორმა;
- კათედრის სხდომის ოქმი
- კურიკულუმის მეთოდოლოგია
- შემუშავებული კურიკულუმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

1. კურიკულუმის მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ, რომ მონიტორინგი და შეფასება ხდება შემდეგნაირად: კურიკულუმის დანერგვის პროცესის აღწერაზე ორიენტირებული ინსტრუმენტების საშუალებით გროვდება მონაცემები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც ხდება კურიკულუმის განვითარების პროცესის შესწავლა, მისი მონიტორინგი და შეფასება. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლაში მოსწავლეთა შეფასებისათვის გამოიყენება სამკომპონენტიანი შეფასების ინსტრუმენტი: საშიანაო, საკლასო, შემაჯამებელი დავალება. ასევე, იგეგმება ესთეტიკის კათედრაზე მონიტორნიგის სისტემის გაწერა. განხორციელდება დიაგნოსტიკური შეფასებები, მათ ანალიზსა და შემაჯამებლის ანალიზზე დაკვირვებით მოხდება მოსწავლეთა მონაცემების რეფლექსია. აღნიშნული შედეგების საფუძველზე გაიცემა რჩევები და გაზიარებული იქნება ერთი კათედრიდან სხვა კათედრებისთვის, შემდეგ- სკოლის დონეზე, საჭიროებიდან გამომდინარე- მშობლისა და მოსწავლის დონეზე. ინდიკატორი შეფასდა როგორც დადებითი.

2. მონიტორინგი და შეფასება მიემართება სასკოლო ცხოვრების იმ მიზნებისაკენ რაც გაწერილია სასკოლო კურიკულუმში. ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები არის იმის

მტკიცებულება რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და დახმარებას. პედაგოგებს გათვითცნობიერებული აქვთ, რომ ყველა მოსწავლის წარმატებაზე დაკვირვებისთვის აუცილებელია კარგად იცნობდენ მოსწავლეთა ემოციურ თუ სოციალურ მდგომარეობას, ამიტომ აქტიურად თანამშრომლობენ კლასის დამრგიგებლებთან. აღსანიშნავია, რომ კათედრის წევრები ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე, ანხორციელებენ შიდა მონიტორინგს და ერთმანეთს სთავაზობენ განვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებს, რაც ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავენ სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას - ესთეტიკური აღზრდის კათედრის წევრები კათედრული შეკრებისას მსჯელობენ პრობლემის შესახებ და სახავენ მიზნებს პრობლემების აღმოსაფხვრელად. კათდრაზე კოლეგების მიერ მხარდაჭერა და დახმარება გამოიხატება იმაში, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია კოლეგების წინარე გამოცდილება. ერთობლივი ძალისხმევით და კოლეგიალური თანამშრომლობით პედაგოგები ადვილად პოულობენ პრობლემების გადაჭრის გზებს. .შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. სკოლაში შეფასების გამართულობის მიზნით არსებობს შიდა ვერიფიკაციის გამოცდილების პრაქტიკა. ეს ითვალისწინებს მოსწავლის შედეგების ანალიზს სწავლის პროცესის მიმდინარეობისას. აგრეთვე, სემესტრისა და წლის განმავლობაში მოსწავლეთა მიერ დაგროვებული ცოდნისა და შესრულებული სამუშაოების შეფასებას. არაფორმალური აქტივობები, რაც თავმოყრილია საბოლოო მოსწავლის შეფასებისას. კომპლექსური დავალებების განხორციელებისას შედეგზე დაყრდნობით ხდება საბოლოო შეფასება, რომელიც განსაზღვრულია სპეციალური რუბრიკებით. კათედრა წლის განმავლობაში აკვირდება და აკეთებს ჩანაწერებს მოსწავლეთა სასწავლო და შემოქმედებითი ჩართულობის შესახებ. თუმცა იკვეთება, რომ ვერიფიკაციის პროცესი არ არის სრულყოფილი და ამომწურავი და საჭიროებს დახვეწას. რასაც კათედრები სამომავლოდ გეგმავენ სამივე საფეხურზე. კერძოდ, ჩამოაყალიბებენ გუნდს, რომელშიც იქნება გაერთიანებული კათედრიდან თითო წარმომადგენელი და იზრუნებს კათედრებთან შეთანხმებით შექმნან შეფასების რუბრიკები, რაც მოიაზრებს, თითოეული საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, მესამე თაობის ესგ -ზე დაყრდნობით მისაღწევ შედეგებს, დირექციასთან შეთანხმებით. საგნობრივი კურიკულუმების დანერგვისა და განხორციელების მიზნით ჯგუფი შექმნის შეფასების ფორმებს, რომელშიც განსაზღვრული იქნება პროცესის მიმდინარეობის სახეები, (ნაკლებად, მეტ-ნაკლებად, სრულიად). საჭიროების შემთხვევაში ჯგუფმა უნდა შეძლოს შეფასების რუბრიკების მონიტორინგი მისი ეფექტურობის დასადგენად. ამისთვის დაგეგმილია მექანიზმების შემუშავება, რომლებიც დაეყრდნობა მუშაობის ანალიზებს. პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ მონიტორინგისა და შეფასების მთავარი მიზანი იქნება არა შეცდომების აღმოჩენა, არამედ შეცდომებზე სწავლა. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

მტკიცებულებები:

- თვითშეფასების დოკუმენტი
- სასკოლო საზოგადოებსათან ინტერვიუ
- კათედრის სხდომის ოქმი
- კურიკულუმის მეთოდოლოგია

- განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასებები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

მოსწავლეთა შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები, მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით; სკოლა ახორციელებს შეფასების სხვადასხვა ტიპებს: განმავითარებელი და განმსაზღვრელი. წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები. შეფასების ჰოლისტური ხასიათი გულისხმობს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. ინტერვიურების დროს მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლის პრობლემის გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია, ეს ინფორმაცია მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან კი ჩანს, რომ მოსწავლეების შეფასება ხორციელდება როგორც ფაქტობრივი და პროცედურული, ასევე პირობისეული ცოდნის გათვალისწინებით. ამის დასტურია კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, რომელთა შესრულებაც მოითხოვს სამივე კატეგორიის ცოდნას. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

მოსწავლეთა შფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიურების პროცესში კათედრის წევრები საუბრობდნენ უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებების შესახებ, ასევე, არაფორმალური განათლების კუთხით მათ გამოცდილებაზე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ სრული სურათის მისაღებად მოსწავლეებზე დაკვირვება მიმდინარეობს როგორც სასკოლო ისე არასასკოლო გარემოში (ექსკურსიები, შემეცნებითი ღონისძიებები), სწავლობენ მათ გარემოს ოჯახში, თემში, რათა გაირკვეს, თუ რა ახდენს გავლენას მოსწავლის პროდუქტიულობაზე. შესაბამისად ხდება მოსწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასება. ნებისმიერი ტიპის დავალება (წერითი, ზეპირი, ექსპერიმენტი, ნამუშევარი (მაგ. ნახატი, ესე და სხვ.), რასაც მოსწავლე სახლში ამზადებს საშინაო დავალების კომპონენტით ფასდება. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეულ მასწავლებელს შემუშავებული აქვს სხვადასხვა

აქტივობის ინდივიდუალური შეფასების სქემები. წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების ტიპები და კრიტერიუმები. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**;

კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შეფასებისას მონაცემთა შეგროვებისათვის, მიმართავენ მოსწავლეებზე დაკვირვებას, კლასის საათზე მოსწავლეთა გამოკითხვას, მშობელთა კრებებზე პრობლემური საკითხების განხილვას, ხდება მონაცემების გაანალიზება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ შეაფსებას. სკოლა გეგმავს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ მოახდინოს მოსწავლეთა დიაგნოსტირება, რაც გულისხმობს კომპლექსური დავალებების დანერგვის პროცესში მოსწავლეებზე დაკვირვებას და ამ დაკვირვების შედეგების საფუძველზე მიღებული შედეგების გაანალიზებით კი ახალი სასწავლო წლისთვის შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმიდან ჩანს, რომ სტანდარტის მოთხოვნათა შესასრულებელად აუცილებელია შემაჯამებელი დავალების კომპონენტში კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (პროექტის მომზადება, ესეს დაწერა, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის მასწავლებლები გეგმავენ, შეიმუშავონ მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**.

შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სკოლას აქვს გამოცდილება შეფასება მოახდინოს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, კერძოდ, მასწავლებლები და დამრიგებელი აანალიზებენ მოსწავლის აკადემიურ და ფუნქციურ უნარებს და აკვირდებიან რა გარემო ფაქტორები (ოჯახი, ტრადიცია, თემი, ფასეულობები და სხვა) ახდენს გავლენას შედეგზე. სკოლა სამ კომპონენტზე დაყრდნობით ახორციელებს მოსწავლეთა შეფასებას, რაც გულისხმობს როგორც საკლასო და საშინაო დავალების კომპონენტებს, ასევე შემაჯამებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აღწერს მოსწავლეთა განვითარების დინამიკას. ხორციელდება აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირება, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირება და ა.შ.

მტკიცებულებები:

საგნობრივი კურიკულუმები

კომპლექსური დავალებები

განმსაზღვრელი რუბრიკები

განმავითარებელი რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

1. როგორც გამოიკვეთა სკოლას არ აქვს ამ მიმართულებით დიდი გამოცდილება. სასწავლო წლის დასაწყისისთვის სკოლამ შეიმუშავა სასკოლო კურიკულუმი. მიმდინარეობს კათედრის წევრების ერთობლივი თანამშრომლობით კურიკულუმის დახვეწა - განვითარება მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი მზაობა. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია მოხდება ახალი კურიკულუმის დანერგვის პროცესში. თუმცა მეთოდოლოგიის დოკუმენტში არ არის დეტალურად გაწერილი მექანიზმები. მიუხედავად ამისა, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრები მთელი წლის მანძილზე შეგროვებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ერთობლივად მოიძიებენ პრობლემის გადაჭრის გზას და შექმნიან კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტს.

2. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ, 2023-2024 სასწ. წლისთვის წინარე გამოცდილებისა და შეფასებების საფუძველზე გეგმავენ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას. ასევე, გეგმავენ, გამოცდილებიდან გამომდინარე, სხვადასხვა პროექტების განხორციელებას. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

მტკიცებულებები:

- მასწავლებლებთან ინტერიუ
- თვითშეფასების დოკუმენტი
- კურიკულუმის მეთოდოლოგია
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	**+ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

საშუალო საფეხური

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება -

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

1.სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის საჯარო სკოლაში შემუშავდა საშუალო საფეხურის კურიკულუმების მეთოდოლოგია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესებისა და შეხედულებების გათვალისწინებით. ინტერესის გათვალისწინება მოხდა ზეპირი გამოკითხვებით, კომუნიკაციით, სკოლის საჭიროებების კვლევით. სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია, რომელიც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის

მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს. კურიკულუმი წარმოაჩენს გზას, რომელსაც სკოლა სთავაზობს მოსწავლეს პიროვნული განვითარებისათვის. კურიკულუმი ერთი მხრივ წარმოაჩენს სკოლის ტრადიციებსა და პრიორიტეტებს, მეორე მხრივ უზრუნველყოფს შეთანხმებას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. კურიკულუმის დანერგვა წარმატებით მიმდინარეობს, რადგან იზიარებს და მონაწილეობს მის განვითარებაში მასწავლებლები, დირექცია და მშობლები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2.კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგიაში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები, რომელიც სასწავლო პროცესის უწყვეტი პროცედურაა. ინტერესის გათვალისწინება ხდება ზეპირი გამოკითხვებით, კომუნიკაციით, სკოლის საჭიროებების კვლევით, გამოცდილების გაზიარებით სასკოლო და რეგიონულ დონეზე. თანხმდებიან შემდეგ საკითხებზე: შეარჩევენ თემებს/საკითხებს/ქვესაკითხებს სტანდარტით განსაზრვრული შედეგების მისაღწევად. კურიკულუმში ცვლილება შესაძლებელია მოახდინონ ნებისმიერ დროს, როცა ამის საჭიროებას დაინახავენ.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3.კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. სასკოლო კურიკულუმის შემუშავება იწყება წინა წლის კურიკულუმის დანერგვის პარალელურად მისი (ე.ი. წინა წლის კურიკულუმის) განხორციელების პროცესის ანალიზის და შეფასების საფუძველზე. შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლისათვის სასწავლო პროგრამების და მისი რეალიზებისათვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. შემუშავებაში კათედრის ყველა წევრი ერთვება და თანხმდებიან შემდეგ საკითხებზე: შეარჩევენ თემებს/საკითხებს/ქვესაკითხებს სტანდარტით განსაზრვრული შედეგების მისაღწევად; შეარჩევენ კომპლექსურ დავალებებს, რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისათვის. ასევე შეარჩევენ მექანიზმებს, რომლითაც შეისწავლიან სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მიმდინარეობას. კურიკულუმს გეგმავს მთელი კათედრა და არა რომელიმე კათედრის წევრი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4.სკოლა გამოცდილების შესაბამისად გეგმავს მომავალი წლის კურიკულუმს. მომავლის გეგმებს უზიარებენ კოლეგებს, მშობლებს. გაზიარებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა საშუალებები. მაგალითად ელექტრონული ფოსტა, სკოლის სოციალური გვერდი, ელექტრონული ჟურნალი და სხვა. სწორად დაგეგმილი კურიკულუმის შედეგია მოსწავლის სასწავლო პროცესში მაღალი ჩართულობა და მიღწეული შედეგები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ ბრძანება
- კურიკულუმის ჩარჩო 2023-24 ს/წ.
- სასკოლო სასწავლო გეგმა

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

1. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ამოსავალია თითოეული მოსწავლის პიროვნული განვითარება. კურიკულუმებში დაგეგმილი აქვთ კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას და, ზოგადად, პიროვნულ განვითარებას ემსახურება. ვთქვათ, ქართულში უნდა შექმნან მრავალფეროვანი პროდუქტი _ მოთხრობა შექმნან, არგუმენტირებული ესე დაწერონ, სამოტივაციო სიტყვა შექმნან და ა.შ., რაც მოსწავლეთათვის საინტერესო გამოცდილება და გამოწვევაა. მათ შექმნას ძალისხმევა სჭირდება _ წარმატება გარანტირებული არ არის, თუ მოსწავლემ ძალისხმევა არ გაიღო. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა შემოქმედებით უნარებს ავითარებს, რადგან შემეცნებით-შემოქმედებით პროდუქტს ქმნიან და პროცესში გამოთქვამენ ვარაუდებს, მოსაზრებებს. შექმნის პროცესი მათ ემოციურ კმაყოფილებას ანიჭებს. სასწავლო პროცესში კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დაგეგმვა ნიშნავს, რომ წახალისებულია მოსწავლის რეფლექსია, რადგან გასიტყვების პროცესი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის განუყოფელი ნაწილია. ნამუშევრის პრეზენტაციისას მოსწავლეები საუბრობენ იმაზე, რა გამოუვიდათ კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რომელმაც წარმატება მოიტანა, რა ვერ შეძლეს, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა წარმატების გზაზე. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი წინარე გამოცდილების გააქტიურებასაც ითვალისწინებს, რადგან ნაცნობ გამოცდილებაზე იგება ახალი ცოდნა. წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმებიც სასწავლო პროცესის თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებულობას ადასტურებს. სკოლის თვითშეფასების ფორმაში ასახულია, როგორ იკვლევენ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესებს,

შესაძლებლობებს, წინარე ცოდნას, საჭიროებებს და განსაზღვრავენ შუალედურ მიზნებს. შერჩეული აქვთ სადიაგნოსტიკო ტესტირების ინსტრუმენტი.

სკოლაში წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები და გათვალისწინებულია მათი ინტერესები. ვთქვათ, სკოლაში ქართულის, გეოგრაფიისა და ისტორიის კათედრებმა დაგეგმეს და განახორციელეს ინტეგრირებული გასვლითი პროექტ-გაკვეთილი უდაბნოს მამათა მონასტერში. პროექტი განხორციელდა მას შემდეგ, რაც მოსწავლეებმა შეიწავლეს ქართულში ი. ჭავჭავაძის „განდეგილი“ (მე-11 კლასი), „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (მე-10 კლასი) და ა.წერეთლის „თორნიკე ერისთავი“ (მე-9 კლასი), ხოლო ისტორიაში ისწავლეს მე-10 საუკუნე, გეოგრაფიაში - დრო და სივრცე. სამივე კათედრის გუნდური მუშაობით, მოსწავლეთ აქტიური ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით განხორციელდა პროექტი, რომლის დასრულების შემდეგ მოსწავლეებმა დაწერეს უკუკავშირი, პედაგოგებმა - რეფლექსია და მოეწყო პრეზენტაცია. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. საგნობრივ კურიკულუმებში იკვეთება სასწავლო პროცესის სამიზნე ცნებებზე ორიენტირებულობა. კურიკულუმებში განსაზღვრულია თემები, საგნობრივი საკითხები, ძირითადი და დამატებითი რესურსები, დავალებები, შეფასების ინსტრუმენტები, რომლებიც სამიზნე ნიშნულამდე _ გრძელვადიან მიზნებამდე _ მისვლის საშუალებებია. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ გლობალურ-ფუნქციური უნარები აღქმულია პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლად და არა სასწავლო მიზნებად. კურიკულუმებში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების საშუალებას ქმნის, რადგან დაგეგმილი აქვთ მრავალფეროვანი პროდუქტის შექმნა. შემოქმედებით-შემეცნებითი პროდუქტის შექმნისას მოსწავლეებს შემოქმედებითობა სჭირდებათ. ასევე, უწევთ კრიტიკულად იაზროვნონ _ ფაქტები გააანალიზონ, იდეების გენერირება და ორგანიზება შეძლონ, მოსაზრებები დაიცვან, შეადარონ, დასკვნები გამოიტანონ, არგუმენტები შეაფასონ და პრობლემები გადაჭრან. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა ხშირად გუნდურ მუშაობასაც მოითხოვს, რაც მათ თანამშრომლობის უნარებს უვითარებს. რეფლექსია მოსწავლეებს ეხმარება თვითცნობიერების განვითარებაში _ მათ ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. როგორც სკოლის თვითშეფასების ფორმაში აღნიშნავენ, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის, კოლაბორაციის, მოქალაქეობის, ნებელობის უნარების გააქტიურებას ემსახურება სადამრიგებლო პროგრამები და სხვადასხვა აქტივობა, მაგ. კითხვის საათი, საკლუბო მუშაობა (სკოლაში ფუნქციონირებს გეოგრაფთა კლუბი), სხვადასხვა საწარმოში, მუზეუმში, სახლ-მუზეუმში, ისტორიულ ადგილებში ექსკურსიები. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღრმისეული სწავლება, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა რეალიზებულია სკოლაში. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმის დაგეგმვისა თუ განვითარების პროცესში ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს, სწავლის პოტენციალს, სტილს, მოტივაციასა და პირად ინტერესებს. ამის მიხედვით შეიტანეს ცვლილებები საგნობრივ კურიკულუმებში _ სასწავლო რესურსები და დავალების პირობა მოარგეს მოსწავლეთა საჭიროებებს. გააზრებულია შეფასების დიაგნოსტიკური დანიშნულება _ შეფასებისას მიღებულ მონაცემებს მასწავლებლები იყენებენ მომდევნო ინტერვენციებისთვის, მოსწავლეებს შეფასება აკვალიანებს, როგორ გააუმჯობესონ სწავლის

პროცესი. გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთა შესაძლებლობები და ამის მიხედვით შედგენილი აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. აღნიშნეს, რომ მასწავლებლები სხვადასხვა ტრენინგზე მიღებულ ცოდნას დიფერენცირებულ მიდგომებთან დაკავშირებით აქტიურად ნერგავენ საკლასო სივრცეში. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. სწავლება და შეფასება განუყოფელ პროცესად არის აღქმული. შექმნილი აქვთ როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებს მიემართება. განმსაზღვრელ შეფასებას მიმართავენ გარკვეული პროცესის (თემის, საკითხის...) შესაჯამებლად, შედეგების აღსაწერად, განმავითარებელ შეფასებას კი _ თითოეული მოსწავლის განვითარების პროცესის გასარკვევად და პროცესშივე სათანადო ინტერვენციების განსახორციელებლად. ორივე შემთხვევაში შეფასება სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, აქტიურად რთავენ მოსწავლეებს როგორც კრიტერიუმების განხილვის პროცესში, ისე თვითშეფასებისა თუ ურთიერთშეფასების დროს, რადგან ეს ემსახურება მოსწავლეთა თვითცნობიერების განვოთარებას. მოსწავლეებს უადვილდებათ როგორც პირობის გაგება, სასწავლო მიზნების განსაზღვრა, ისე იმის გარკვევა, რა აქვთ დასაძლევი, გასაუმჯობესებელი და რა გზით შეიძლება ამის გაკეთება. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

5. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, კურიკულუმების შემუშავებისას გაითვალისწინეს წარმატებული გამოცდილება და გამოწვევები და ასახეს კურიკულუმებში. გააანალიზეს მოსწავლეთა ნამუშევრები, კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესი, ზოგადად, მთელი სასწავლო პროცესი და კათედრაზე განიხილეს. სკოლის თვითშეფასების ფორმაში აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას სხვადასხვა წყაროს და მეთოდს იყენებენ. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრია წყარო, მონაცემებს კი სხვადასხვა მეთოდით _ დაკვირვებით, გამოკითხვით მოიპოვებენ. მიღებული მონაცემების დამუშავების საფუძველზე ხდება მიღწევის დონის განსაზღვრა, წინარე გამოცდილების შეფასება. შერჩეული აქვთ სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტიც, რომელიც მოსწავლეთა წინარე გამოცდილების განსაზღვრის შესაძლებლობას ქმნის. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

მტკიცებულებები:

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- სკოლის თვითშეფასების ფორმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

წარმოდგენილი კურიკულუმები კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომ პროექტულ დავალებებს ეფუძნება, შესაბამისად მოსწავლე გარანტირებულად არის შემოქედებით პროცესში ჩართული. იგი მიმართულია ისეთ აქტივობებზე, რომ მოსწავლემ კეთების პროცესში შეიძინოს ცოდნა და საბოლოოდ ისეთ პროდუქტს ქმნიან, რომელიც მოიაზრებს ინდივიდუალურ შემოქმედებითი მუშაობის შედეგს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა გამოთქვეს სურვილი და მზაობა, რომ აქტიური სწავლებისა და მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გასაძლიერებლად, კიდევ უფრო აქტიურად ჩართავენ მოსწავლეებს მომავალში სხვადასხვა მრავალფეროვან აქტივობებში და წაახალისებენ მათ ინიციატივებს, სადაც მათ შეეძლებათ შემოქმედებითი უნარები კიდევ უფრო განავითარონ.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

კურიკულუმებში თემები ისეა წარმოდგენილი, რომ მოსწავლემ შეძლოს ცოდნის აგება წინარე გამოცდილებაზე დაფუძნებით. ასევე შუალედური მიზნები კომპლექსური დავავლებების სახით იმგვარად არის დაგეგმილი, რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას, რაც უზრუნველყოფს ახალი ცოდნის თანდათანობით და მოსწავლისთვის საინტერესო კონტექსტში კონსტრუირების შესაძლებლობას. წინარე ცოდნის გააქტიურებაში მათ ეხმარებათ შეკითხვები და სხვადასხვა აქტივობები. მოსწავლეებს ეძლევათ იმის შესაძლებლობა, რომ ახალი თემის ფარგლებში შესასწავლი მასალა დაუკავშირონ უკვე შესწავლილი საკითხებიდან მიღებულ ინფორმაციასა და ფაქტობრივ ცოდნას, სწავლა სწავლების პროცესში ჩამოყალიბებულ უნარ - ჩვევებს. კომპლექსური დავალებები, რომელიც მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტს წარმოადგენს, მოსწავლეს უკვე არსებული ცოდნის საინტერესოდ გამოყენების შესაძლებლობას აძლევს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები თავის თავში მოიცავს მეტაკოგნიტურ კითხვებს, რომლებიც

აფიქრებს მოსწავლეებს, თუ როგორ წარმართონ სწავლის პროცესი ეფექტიანად. გარდა ამისა, მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ისინი საგაკვეთილო პროცესში აქცენტს აკეთებენ ასევე მოსწავლეთა მიერ ურთიერთშფასებასა და შეფასებაზე, რაც სწორედ ამ უნარების განვითარებას ემსახურება. მაგალითად უცხოური ენის კურიკულუმი სწავლა-სწავლების პროცესში ითვალისწინებს ასევე სხვადასხვა სტრატეგიების გააქტიურებას (კითხვის, მოსმენის, ლაპარაკი და წერის

სტრატეგიები), რომლებზე მუშაობაც მოსწავლეს განუვითრებს უნარებს იცნობდეს და ირჩევდეს საჭირო სტრატეგიებს და თავად მართავდეს სწავლის პროცესის გარკვეულ ეტაპებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

წარმოდგენილი შუალედური მიზნები/ კომპლექსური დავალებების პირობები ისეა გაწერილი, რომ მოახდენს მოსწავლეების ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზებას. ისინი არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას დაეუფლებიან, მას პრაქტიკაში გამოიყენებენ, არამედ ექნებათ უნარი მოახდინონ მისი ანალიზი, თუ სად და როგორ გამოიყენოს ის. მაგალითად წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა მოიაზრებს იმას, რომ ასეთი ბუნების დავალებაზე მუშაობისთვის მოსწავლეებს დასჭირდებათ როგორც ფაქტობრივი ცოდნა საკითხთან მიმართებაში, ასევე კონკრეტული ოპერაციების შესრულება, ასევე ანალიზი და სიღრმისეულად გააზრება საკითხის თემასთან მიმართებაში. აღნიშნული ტიპის დავალებები უზრუნველყოფს იმას, რომ სასწავლო პროცესი ცოდნის სამივე კატეგორიაზე იყოს ორიენტირებული.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თავის თავში მოიცავს ისეთ საკითხებს, ისეთ სამიზნე ცნებებს თუ ქვეცნებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას. კომპლექსური ბუნების დავალებების საშუალებით მოიაზრებს დაწესებულება მოსწავლის მიერ საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად და მიზნობრივად ახალი ცოდნისა და უნარების გამოყენებას. მსგავს დავალებეზე მუშაობის დროს კი, მათში გააქტიურდება სხვადასხვა კომპონენტური უნარი, გადმოსცემენ საკუთარ გამოცდილებას, გააკეთებენ შედარებას, მოახდენენ ფაქტების ანალიზს, გაიგებენ თანატოლთა მოსაზრებას საკითხის ირგვლივ და სხვ.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგნობრივი კურიკულუმები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს და სწავლის მექანიზმს შორის. საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია ყოველდღიური სასწავლო პროცესის კავშირი გრძელვადიან მიზნებთან. შერჩეული თემების ფარგლებში მუშავდება საფეხურის სამიზნე ცნებები. კომპლექსური დავალებების იდეებში იკვეთება სამიზნე ცნებისა და ქვეცნებების ლოგიკური მიმართება. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად, რასაც ადასტურებს კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. სკოლის მიერ წარმოდგენილ დამატებით რესურსებში, ჩანს ნიმუშები, სადაც ასახულია ამ მიზნის თვასაზრისით გაცნიბიერებული დავალებები. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით იმდენად, რამდენადაც თითოეულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ფარგლებში მოსწავლეებს უწევთ გააცნობიერონ პროდუქტის მთავარი მახასიათებლები, თემა და მიზანი, ვინ არის მისი მსმენელი, კონკრეტული დავალების ფარგლებში დაეუფლონ კონკრეტულ საკითხს. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია მრავალფეროვანი რესურსი და კომპლექსური დავალებების იდეები აჩვენებს, რომ იგი უზრუნველყოფს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. იგივეს ადასტურებს მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუების ანალიზი. კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემული თემები/საკითხები და განსახორციელებელი კომპლექსური დავალების იდეები მოიაზრებს იმდაგვარი ტიპის სამუშაო პროცესს, რაც ხელს უწყობს ფსიქო-ემოციური უნარების განვითარებას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეებს უწევდათ ჯგუფურად მუშაობა საერთო მიზნის მისაღწევად და ურთიერთობას ამყარებდნენ ა თანაკლასელებთან. ფსიქო-ემოციური განვითარება მოიცავს თვითმართვის უნარს, რომელიც მოიაზრებს საკუთარი ქცევებისა და ემოციების მართვის უნარს სტრესულ სიტუაციებში, იმედგაცრუებისა და მარცხის გადატანას, ნებისყოფის გამომუშავებას რეგულარული საქმიანობითა და წესების დაცვით. საკუთარი სამუშაო პროცესის და ნაშრომის შეფასებისას, როდესაც მოსწავლე აფასებს რა გამოუვიდა კარგად, სახავს ახალ გზებს და ცდილობს გააუმჯობესოს იგი. ამ გზით და ასევე მასწავლებლებისგან მიღებული განმავთიარბელელი შეფასებით მოსწავლეები იაზრებენ რა გამოსდით კარგად, რა აქვთ გასაუმჯობესებელი და რა შედეგი ექნებათ მიღებული უკუკავშირის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის და საბოლოო პროდუქტის შექმნისას, მოსწავლეს უვითარდება კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა და თანამშრომლობითი უნარები, იაზრებს საკუთარ პასუხისმგებლობას დავალების საბოლოო პროდუქტზე, ასევე მოსწავლე ახდენს თვითაქტუალიზაციას და აზროვნების პროცესების მართვით - თვითრეგულაციას. გარდა ამისა, სასკოლო პროექტების აქტივობები გააზრებულადაა მიმართული მოსწავლეთა გლობალური 6 უნარის განვითარებისაკენ. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

გააზრებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, ამიტომაც შეფასების სისტემა განმსაზღვრელთან ერთად განმავითარებელი შეფასებითაც აისახება, რაც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას, აძლევს მიმართულებას და ასწავლის გზებს შემდგომი წინსვლისათვის. წარმოდგენილი კურიკულუმები სასწავლო პროცესზე ორიენტირებულია და ჩანს, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. წარმოდგენილ დოკუმენტებში იკვეთება, რომ შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და ითვალისწინებს მოსწავლის ჩართულობასაც სასწავლო პროცესში. გასაუბრების შედეგების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად, განმავითარებელი შეფასების სახით, კათედრაზე განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. გამოიკვეთა ასევე, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკურიდა ფსიქო-სოციალური) მიხედვით, ასევე შერჩეული აქვთ სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტიც, განმავითარებელი შეფასებისათვის კათედრა ასევე იყენებს საკლასო აქტივობების მრავალფეროვან შეფასებასაც, რითაც ნათლად დასტურდება შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

შეფასების სისტემის სანდოობისა და ობიექტურობის შესაბამისობასთან გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა, რომელიც დაეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით გაწერილ შეფასების პრინციპებს. დოკუმენტაცია ადასტურებს და გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელებს სიღმისეულად აქვთ გააზრებული, რომ შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. განმავითარებელი და განმაზღვრელი შეფასების რუბრიკები, მასწავლებლისა და მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკები, საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, რომ იცოდნენ თუ როგორ ფასდება მათი ცოდნა. ამას გარდა რუბრიკა ცხადყოფს, რომ ფასდება მხოლოდ ის, რისი შეფასებაც მიზნობრივადაა განზრახული, რაც შეფასების სისტემას კიდევ უფრო ვალიდურს, ობიექტურს, გამჭირვალეს, სანდოსა და ობიექტურს ხდის. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშისა და გასაუბრების დროს მასწავლებელთა მხრიდან მზაობის გამოვლენით, ცხადი ხდება შეფასების სისტემის სრულყოფილებაში მოყვანა. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

დოკუმენტაციში იკითხება, რომ სკოლა შეფასების სისტემის მექანიზმების განსაზღვრისას ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. სკოლის თვითშეფასებაში იკითხება და პედაგოგებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ . სკოლაში შეფასების გამართულობის მიზნით არსებობს შიდა ვერიფიკაციის გამოცდილების პრაქტიკა. ეს ითვალისწინებს მოსწავლის შედეგების ანალიზს სწავლის პროცესის მიმდინარეობისას. აგრეთვე სემესტრისა და წლის განმავლობაში მოსწავლეთა მიერ დაგროვებული ცოდნისა და შესრულებული სამუშაოების შეფასებას, ასევე არაფორმალური აქტივობების ანალიზს მოსწავლის საბოლოო შეფასებისას. კომპლექსური დავალებების განხორციელებისას შედეგზე დაყრდნობით ხდება საბოლოო შეფასება, რომელიც განსაზღვრულია სპეციალური რუბრიკებით. წლის განმავლობაში პედაგოგები აკვირდებიან და აკეთებენ ჩანაწერებს მოსწავლეთა სასწავლო და შემოქმედებითი ჩართულობის შესახებ. სკოლამ წარმოადგინა ასევე ვერიფიკაციის მექანიზმების დოკუმენტი (ბრძანება # 2-38), სადაც იკითხება, რომ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ახორციელებს შეფასების ვერიფიკაციას. ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი. სკოლას დირექტორის ბრძანებით გამოყოფილი ჰყავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი (ბრძანება # 2-47). ვერიფიკაცია მიმდინარეობს სამი მიმართულებით: ინსტრუმენტების ვერიფიკაცია, პროცესი და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტში აღწერილია ამ სამივე მიმართულებით შეფასების პრინციპები. სკოლაში ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება სწავლის დაწყებიდან 6 თვეში ერთხელ და გრძელდება მაქსიმუმ 2 თვის განმავლობაში. სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის ჯგუფის დასკვნის ფორმა, რომლის განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას დასკვნაში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. დოკუმენტაციაში არ არის მოცემული მოსწავლის შედეგების ანალიზის და რეფლექსიის კონკრეტული მტკიცებულებები, თუმცა არის მზაობა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს ეს რჩევა გათვალისწინებულ იქნება.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მას შემდეგ რაც შეიცვალა მატერიალური ჟურნალი, სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი და შეფასების შესახებ ინფორმაცია ინახება ელექტრონულ ჟურნალში. განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების აღრიცხვა - შენახვა ხორციელდება კანონით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში. სკოლაში ინახება მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც კლასის დამრიგებლებს შეაქვთ მოსწავლეთა წლიური შეფასებები, სხვადასხვა ცნობები და ინფორმაცია ექსტერნის შესახებ. მათზე პასუხისმგებლობა ეკისრება საქმის მწარმოებელს. თუმცა დოკუმენტის შემუშავებას, სადაც გაწერილი იქნება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა არანაკლებ 3 წლის ვადით სკოლა სამომავლოდ გეგმავს. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

მტკიცებულებები:

- ვერიფიკაციის მექანიზმი (ბრძანება # 2-38).
- ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი (ბრძანება # 2-47).
- თვითშეფასება.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

1. პედაგოგებთან ინტერვიუს გათვალისწინებითა და თვითშეფასების ფორმაზე დაყრდნობით, ნათელია, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის მხარდამჭერ და მიმღებლობის გარემოს. ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების, ინტერესებს, სურვილებს, შესაძლებლობებს საჭიროებებს და სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გეგმავს მრავალფეროვან სასაკოლო პროექტებს, სპორტულ ფესტივალებს და ღონისძიებებს არაფორმალური განათლების მიმართულებით, რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში პოზიტიური, თანამრომლობითი და მიმღებლობითი გარემოს უზრუნველსაყოფად. სწავლების მეთოდოლოგია თუ შეფასების სისტემაც ორიენტირებულია მოსწავლეზე და საშუალო საფეხურის სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით ურთიერთობას. საჭიროების შემთხვევაში სკოლას აქვს მზაობა ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით და სპეც მასწავლებლის რეკომენდაციით შეიმუშავონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს შეუქმნის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. საშუალო საფეხურზე საკმაოდ არია კომუნიკაცია მშობლებთან. მათთან საუბარი ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და შედეგების გაუმჯობესებას. კათედრებს აქვთ შეხვედრები, სადაც განიხილავენ არამარტო სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ, არამედ პროფესიული ზრდის მიმართულებით არსებულ პრობლემებს. სამომავლოდ სკოლას აქვს მზაობა შეიმუშავოს ახალი, მოსწავლეების სკოლაში ინტეგრირების ეფექტური მექანიზმები. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

2. სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რომელშიც აღწერილია მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემო. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ჩანს და მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც გამოიკვეთა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი მორგებულია მოსწავლის საჭიროებებზე და მათ მიერ მიღწეული შედეგზე. რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. ეს აისახება საშუალო საფეხურის კურიკულუმში შეტანილი თემების მიხედვით დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით, პედაგოგებმა აღნიშნეს რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სასკოლო აქტივობებში, სპორტულ ფესტივალებსა და ოლიმპიადებში, პროექტებში, არაფორმალური განათლების ხელისშემწყობი სხვა ღონისძიებებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებზეა მორგებული , ითვალისწინებს მათ ფიზიკურ შესაძლებლობებს, სკოლის ინფრასტრუქტურას და უზრუნველყოფს სამომავლოდაც მათში სასკოლო საგნების მიმართ ინტერესის გაღვივებას. მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესებიც გათვალისწინებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისასაც. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3.**სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

3..კოლეგების მიერ ინტერვიუს შემდეგ ნათელია და სკოლის თვითშეფასების ფორმის ნარატივში სკოლის სასწავლო პროცესის აღწერისას, ჩანს, რომ სკოლაში აქვთ გამოცდილება პედაგოგების ერთმანეთთან და სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობისა. სკოლის თანამშრომლები თავისი შესაძლებლობისა და კვალიფიკაციის ფარგლებში ერთობლივად ზრუნავენ მოსწავლეების სწავლის შედეგებზე. სკოლაში დამკვიდრებულია კურიკულუმის კათედრებზე ერთობლივად შემუშავების კულტურა.

თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას ხელს უწყობს კომპლექსური დავალებების ერთობლივი დაგეგმვა და სასწავლო თუ სასკოლო პროექტები. დაგეგმვისას ითვალისწინებენ იმას, რომ სასწავლო პროცესი შეძლებადი და დაძლევადი იყოს მასწავლებლებისათვის, რათა ამ პროცესში არ დაზარალდეს მოსწავლის ინტერესი და საჭიროება. კოლეგები ერთად აკეთებენ და ირჩევენ იმ თემებსა და საკითხებს, რაც შესაძლებლობას მისცემს მათ უკეთ და მეტად ეფექტურად მიაღწიონ სტანდარტით განსაზღვრული საფეხურის შედეგებს. კოლეგები ასევე ერთობლივად თანხმდებიან ძირითად და დამხმარე რესურსებზე და შეფასების ინსტრუმენტებზე. მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესისთვის კარგი პრაქტიკაა ინტეგრირებული გაკვეთილებიც. თანშრომლობითი კულტურის განსავითარებლად ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, კლასის დამრიგებელს და მოსწავლეებს შორის შეხედულებეისა და გამოცდილების გაზიარება. სასკოლო საზოგადოებას და სამეურვეო საბჭოს აქვთ საშუალება გაეცნონ სკოლის სასწავლო პროცესში შემოთავაზებულ ინოვაციებს, ახალ მეთოდებს. აქვთ ინფორმაცია საშუალო საფეხურზე ჩატარებული სპორტულ აქტივობების და ფესტივალების, სასწავლო პროექტების შესახებ. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

4.**უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

4.. როგორც ინტერვიუდან იკეთება და სკოლის თვითგანვითარების გეგმაც მოწმობს, სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე იგეგმება მოსწავლეებისათვის სასურველი და საჭირო აქტივობები, სადაც გათვალისწინებულია მათი შესაძლებლობები, ინტერესები და სკოლის საჭიროება, სკოლის ინფრასტრუქტურისა და მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება სპორტული ფესტივალებიც, განსახორციელებელი კონფერენციები, არაფორმალური მიმართულებით ღონისძიებები საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის. ეს ყველაფერი მნიშვნელოვანი ფაქტორია შემდგომში სკოლაში პოზიტიური კლიმატის შესაქმნელად. სკოლაში შექმნილია ისეთი სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეები თავს გრძნობენ უსაფრთხოდ და დაცულად. ფიზიკური უსაფრთხოების გარდა, სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებაზე. ამ საქმეში ჩართული არიან კლასის დამრიგებლები, საგნების პედაგოგები და დირექცია. ამას ემსახურება არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობები: ექსკურსიები მუზეუმებში, ისტორიისა და კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლების გაცნობა, სახელოვნებო ღონისძიებები და სპორტული ფესტივალები, ინტელექტუალური ჩემპიონატები და კონკურსები, ფილმების ჩვენება, სხვადასხვა პროექტებში ჩართვა, კლუბური საქმიანობა და ა.შ. მათში ჩართულობით, მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ სხვადასხვა უნარის აღმოჩენის, საკუთარ ძალებში დარწმუნების, მეგობრების შეძენისა და თანატოლებთან ურთიერთობისა. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულები)

- თვითშეფასების დოკუმენტი

- კათედრის სხდომის ოქმი
- კურიკულუმის მეთოდოლოგია
- შემუშავებული კურიკულუმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

1.კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან ვგებულობთ, რომ მონიტორინგი და შეფასება ხდება კურიკულუმის დანერგვის პროცესის აღწერაზე ორიენტირებული ინსტრუმენტების საშუალებით დაგროვილი მონაცემებით, რომელთა

ანალიზის საფუძველზეც ხდება კურიკულუმის განვითრების პროცესის შესწავლა, მონიტორინგი და შეფასება. საშუალო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის საგნებში პროექტული სწავლების პროგრამის გათვალისწინებით კათედრის მიერ წარმოდგენილია განმავითრებელი შეფასების ცხრილები. სკოლაში კარგად მუშაობს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმები, რის საშუალებითაც გამოკვეთილია მოსწავლეთა საჭიროებები. ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე იგეგმება მონიტორინგის სისტემის გაწერა- ახალ სასწავლო წელს დაგეგმილია ისეთი სასკოლო კურიკულუმის შემუშავება, რომელიც გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების განხორციელებაზე იქნება მიმართული პროექტულ სწავლებაში. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. მონიტორინგი და შეფასება მიემართება სასკოლო ცხოვრების იმ მიზნებისაკენ რაც გაწერილია სასკოლო კურიკულუმში. საშუალო საფეხურზე პროექტულ სწავლებასთან დაკავშირებული კვლევის საფუძველზე განხორციელებული შესაბამისი პროექტების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები არის იმის მტკიცებულება რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და დახმარებას. აღსანიშნავია, რომ მე-10, მე-11 კლასებში, 2022-2023 სასწ. წელს სავალდებულოა პროექტული სწავლება მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. სწავლებასთან დაკავშირებული სიახლეების გამოწვევის შესაბამისად, კათედრის წევრები ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე, კათედრის სხდომაზე მსჯელობენ პროექტულ სწავლების დროს წამოჭრილი პრობლემის შესახებ და სახავენ მიზნებს პრობლემების აღმოსაფხვრელად. კათდრაზე კოლეგების მიერ მხარდაჭერა და დახმარება გამოიხატება იმაში, რომ ერთობლივი ძალისხმევით და კოლეგიალური თანამშრომლობით პედაგოგები ადვილად პოულობენ პრობლემების გადაჭრის გზებს. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ მონიტორინგისა და შეფასების მთავარი მიზანი იქნება არა შეცდომების აღმოჩენა, არამედ შეცდომებზე სწავლა. სკოლაში შეფასების გამართულობის მიზნით არსებობს შიდა ვერიფიკაციის გამოცდილების პრაქტიკა. ეს ითვალისწინებს მოსწავლის შედეგების ანალიზს სწავლის პროცესის მიმდინარეობისას. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

მტკიცებულებები:

- თვითშეფასების დოკუმენტი
- სასკოლო საზოგადოებსათან ინტერვიუ
- კათედრის სხდომის ოქმი
- კურიკულუმის მეთოდოლოგია
- განმავითარებელი შეფასება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

მოსწავლეთა შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები, მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით; სკოლა ახორციელებს შეფასების სხვადასხვა ტიპებს: განმავითარებელი და განმსაზღვრელი. წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები. შეფასების ჰოლისტური ხასიათი გულისხმობს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. ინტერვიურების დროს მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლის პრობლემის გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია, ეს ინფორმაცია მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან კი ჩანს, რომ მოსწავლეების შეფასება ხორციელდება როგორც ფაქტობრივი და პროცედურული, ასევე პირობისეული ცოდნის გათვალისწინებით. ამის დასტურია კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, რომელთა შესრულებაც მოითხოვს სამივე კატეგორიის ცოდნას. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

მოსწავლეთა შფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიურების პროცესში კათედრის წევრები საუბრობდნენ უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებების შესახებ, ასევე, არაფორმალური განათლების კუთხით მათ გამოცდილებაზე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ სრული სურათის მისაღებად მოსწავლეებზე დაკვირვება მიმდინარეობს როგორც სასკოლო ისე არასასკოლო გარემოში (ექსკურსიები, შემეცნებითი ღონისძიებები), სწავლობენ მათ გარემოს ოჯახში, თემში, რათა გაირკვეს, თუ რა ახდენს გავლენას მოსწავლის პროდუქტიულობაზე. შესაბამისად ხდება მოსწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასება. ნებისმიერი ტიპის დავალება (წერითი, ზეპირი, ექსპერიმენტი, ნამუშევარი (მაგ. ნახატი, ესე და სხვ.), რასაც მოსწავლე სახლში ამზადებს საშინაო დავალების კომპონენტით ფასდება. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეულ მასწავლებელს შემუშავებული აქვს სხვადასხვა აქტივობის ინდივიდუალური შეფასების სქემები. წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების ტიპები და კრიტერიუმები. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები:

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შეფასებისას მონაცემთა შეგროვებისათვის, მიმართავენ მოსწავლეებზე დაკვირვებას, კლასის საათზე მოსწავლეთა გამოკითხვას, მშობელთა კრებებზე პრობლემური საკითხების განხილვას, ხდება მონაცემების გაანალიზება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ შეაფსებას. სკოლა გეგმავს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ მოახდინოს მოსწავლეთა დიაგნოსტირება, რაც გულისხმობს კომპლექსური დავალებების დანერგვის პროცესში მოსწავლეებზე დაკვირვებას და ამ დაკვირვების შედეგების საფუძველზე მიღებული შედეგების გაანალიზებით კი ახალი სასწავლო წლისთვის შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმიდან ჩანს, რომ სტანდარტის მოთხოვნათა შესასრულებელად აუცილებელია შემაჯამებელი დავალების კომპონენტში კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (პროექტის მომზადება, ესეს დაწერა, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის მასწავლებლები გეგმავენ, შეიმუშავონ მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სკოლას აქვს გამოცდილება შეფასება მოახდინოს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, კერძოდ, მასწავლებლები და დამრიგებელი აანალიზებენ მოსწავლის აკადემიურ და ფუნქციურ უნარებს და აკვირდებიან რა გარემო ფაქტორები (ოჯახი, ტრადიცია, თემი, ფასეულობები და სხვა) ახდენს გავლენას შედეგზე. სკოლა სამ კომპონენტზე დაყრდნობით ახორციელებს მოსწავლეთა შეფასებას, რაც გულისხმობს როგორც საკლასო და საშინაო დავალების კომპონენტებს, ასევე შემაჯამებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აღწერს მოსწავლეთა განვითარების დინამიკას. ხორციელდება აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირება, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირება და ა. შ.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

მტკიცებულებები:

განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

კომპლექსური დავალებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

1. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან ვიგებთ, რომ კურიკულუმის განვითარებისათვის სკოლამ, პედაგოგებმა, ასევე, მშობლებმა და მოსწავლეებმა გარკვეული გამოცდილებები მიიღო. მოსწავლეებმა იციან როგორ უნდა შეასრულონ კომპლექსური დავალება, ერკვევიან ტერმინებში. შეძლებისდაგვარად, ქმნიან ახალ პროდუქტებს. თავადაც ქმნიან პედაგოგები მატრიცებს და აგრეთვე ახდენენ მოდიფიცირებას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნბრივი კთედრების გამოცდილების გაზიარება წარმატების ერთ ერთი წინაპირობაა და პრობლემების გადაჭრას უწყობს ხელს. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ, 2023-2024 სასწ. წლისთვის წინარე გამოცდილებისა და შეფასებების საფუძველზე გეგმავენ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას. ასევე, გეგმავენ, გამოცდილებიდან გამომდინარე, სხვადასხვა პროექტების განხორციელებას. შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

მტკიცებულებები:

- მასწავლებლებთან ინტერიუ
- თვითშეფასების დოკუმენტი
- კურიკულუმის მეთოდოლოგია
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:







თარიღი: 3.12.2023 წელ